# საქართველოს რესპუბლიკა




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.






დაარსებულია 1918 წელს.



ოთხშაბათი, 29 ივლისი, 2015 წელი.

№140 (7785)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.




## უმეცარი მწერალი ყველა გადამდებ დაავადებაზე უარესია! ⑥

### რუსი შოვინისტის ედუარდ ლიმონოვის ერთი „ისტორიული“ ნაბოდვარის გამო

## ქვეყანას გაუკაცურება მოელის! ④



## გზა, ურმის გადაბრუნების შემდეგაც რომ აღარ ჩანს?! ③

**რამდენჯერ უნდა გადაგვიბრუნდეს ეს საცოდავი ურემი, რომ ქართველებმა საკუთარი გზა ვიპოვოთ და სხვის გზას არ დავადგეთ, სხვისი სახლები და სხვისი ტაძრები არ ავაშენოთ, ჩვენი წინაპრების სისხლითა და ოფლით გაჟღენთილ მიწაზე?..**

## თაღლითები დევნილებს ფულს მოტყუებით სძალავენ ②

## ბუნებრივი აირი არ შეწყდება

**აგვისტოში მილსადენებზე დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, საქართველოში ბუნებრივი აირის მიწოდება არ შეფერხდება,** — ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ მარიამ ვალიშვილმა იმ ინფორმაციის კომენტირებისას განაცხადა, რომლის თანახმადაც, აგვისტოში ორ მილსადენზე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო შესაძლოა, საქართველო გაზის გარეშე დარჩეს. როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, მილსადენების რეაბილიტაცია ერთდროულად არ იგეგმება, ეს არის გეგმური სამუშაოები, რომელიც მრავალი წელია, ჩვეულებრივად ხორციელდება.

მისივე თქმით, სარებილიტაციო სამუშაოებისთვის აგვისტო იმიტომ შეირჩა, რომ ამ დროს ბაზარზე ბუნებრივ აირზე დიდი მოთხოვნა არ არის.

**„შაჰ-დენიზის“ სარებილიტაციო სამუშაოები 1-დან 20 აგვისტომდე გასტანს და მის ფუნქციას „ყაზახის“ ძველი მილსადენი იტვირთებს, რომელიც აზერბაიჯანიდან მოდის. შემდეგ, როდესაც „ყაზახის“ რემონტი დაიწყება, „შაჰ-დენიზი“ ირთვება, ერთამენთს ენაცვლებიან. მილსადენი იცლება რამდენიმე დღის განმავლობაში და ივსება 2-3 დღის განმავლობაში. თეორიულად ვამბობ — თუ რაღაც თანხვედრა მოხდა, დღის პიკის დაკმაყოფილებაში პრობლემა მაინც არ იქნება, რადგან ჩვენ მე-3 მილსადენი გვაქვს რუსეთიდან და ბუნებრივია, იქედან მოხდება შევსება“,** — განაცხადა ვალიშვილმა.

⊙ ნატო თუ... პუტინი?!



## რუსეთი საქართველოს ახალი დოქტრინით ემუქრება

**რუსეთს ახალი საზღვაო დოქტრინა აქვს. მასში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ატლანტიკური და არქტიკული მიმართულებით. რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, ახალი დოქტრინის მიღების მიზეზი არის მსოფლიოში პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლა და რუსეთის ობიექტური გაძლიერება, რომელიც უდიდესი საზღვაო სახელმწიფოა.**

დოქტრინის ახალ რედაქციაში, რომელიც კრემლის ოფიციალურ გვერდზეა გამოქვეყნებული, ასახულია რუსეთის უარყოფითი დამოკიდებულება ნატოს გეგმებისადმი, რაც ალიანსის სამხედრო ინფრასტრუქტურის რუსეთის საზღვრებამდე მიახლოებას უკავშირდება.



**— ჩემთვის, როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრისთვის, რუსეთის სამხედრო დოქტრინაზე გაცილებით საინტერესოა, რა დოკუმენტს მიიღებს დეკემბრის მინისტერიალზე ნატო, — ასეთია თავდაცვის მინისტრის პოზიცია რუსეთის ახალი საზღვაო დოქტრინის შესახებ. თინა ხიდაშელი ამბობს, რომ დოქტრინას დეტალურად ჯერ არ გაცნობია, თუმცა, მისთვის გასაგებია, რომ რუსეთი არ აპირებს მეგობრობას. ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც დღეს ვხედავთ და რომელიც სამწუხაროდ, სავარაუდოდ, შემდეგი 10 წლის განმავლობაში გამოვა კრემლიდან (მე არ მაქვს რუსეთთან დაკავშირებით ოპტიმისტური პროგნოზი), იქნება მსგავსი შინაარსის, ზოგიერთი — ზღვაზე გაფართოების არდაშვების, ზოგი კი ჰაერში გაფართოების არდაშვების შესახებ. მათი პოზიცია გასაგებია, მაგრამ ჩემთვის, როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრისთვის, გაცილებით საინტერესოა, დეკემბრის მინისტერიალზე რა დოკუმენტს მიიღებს ნატო. ეს არის პასუხი ჩვენს გამოწვევებზე და არა ის, რა გადაწყვეტილებებს იღებს რუსეთი,** — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში წამყვანი თემაა ალიანსის სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსება მეზობელ ქვეყნებთან. თუმცა, მისი თქმით, ჯერჯერობით არ ჩანს ის ნაბიჯები, რას აპირებს რუსეთი იმ შემთხვევაში, თუ ალიანსის სამხედრო ინფრასტრუქტურა რუსეთის საზღვრებს მიუახლოვდება.



**— შეშფოთება ერთია, მაგრამ კონკრეტული გეგმა რუსეთს ამასთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია. ამიტომ, არა მგონია, უპრიანი იყოს საქართველოს მხრიდან ამაზე აქცენტი. რუსეთის ახალი დოქტრინა უფრო ნატოს წინააღმდეგ არის მიმართული და ამის პირველი ნაბიჯი იყო მავთულხლართების გადმოწევა ისეთ ზონაში, სადაც მისი დაკვირვების ქვეშ მოხდა მილსადენი. ეს იყო პირდაპირი მინიშნება ნატოს ქვეყნებისთვისაც, რომ თუ რუსეთს მოუნდა, მას შეუძლია, ხელი აღმართოს ამ მილსადენზე. რუსეთმა გეგმა შეცვალა, სამხედრო აგრესიას არ იყენებს, მაგრამ არტყამს ეკონომიკური მიმართულებით,** — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

ინფორმაცია

## პატრიარქი გერმანიიდან დაბრუნდა



**გუშინ** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გერმანიიდან საქართველოში დაბრუნდა.

პატრიარქს აეროპორტში სასულიერო პირები და მონაზვნები დახვდნენ. სამების ტაძრში უწმინდესმა ტაძარი მოილოცა და მრევლი დალოცა.

სრულიად კათოლიკოს-პატრიარქი გერმანიაში 14 ივლისს გაემგზავრა. ბერლინის ერთ-ერთ კლინიკაში უწმინდესს გეგმურ-პროფილაქტიკური გამოკვლევები ჩაუტარდა და გულის სისხლძარღვზე ინვაზიური ჩარევა განხორციელდა.

## გაგვაგებინეთ, რა ქონებით ტოვებთ თანამდებობას?

**თანამდებობის** პირი ვალდებული იქნება, თანამდებობის დატოვებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, ქონებრივი დეკლარაცია შეავსოს. ეს მან იმ შემთხვევაში უნდა გააკეთოს, თუ ახალ სადეკლარაციო თანამდებობაზე არ განწესდება.

ასეთ ცვლილებას „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონპროექტი ითვალისწინებს.

ამავე ცვლილებებით თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების დრო ზუსტდება. მოქმედი კანონის გათვალისწინებით, თანამდებობის პირი ვალდებულია, თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში, ყოველწლიურად — ყოველი წინა დეკლარაციის შევსების დღიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, ერთი კვირის ვადაში შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, რომელშიც თანამდებობის პირის მიერ წინა წელს შევსებულ დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების ცვლილებები უნდა ასახოს. კანონში დაგეგმილი ცვლილებით კი, მან ქონებრივი დეკლარაცია წინა დეკლარაციის შევსების თვის განმავლობაში უნდა შეავსოს და წარადგინოს.



„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები ერთ-ერთია იმ საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც საჯარო სამსახურის რეფორმირებას ისახავს მიზნად. პარლამენტში განსახილველად წარდგენილი „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონპროექტი, ცვლილებას 65 სხვადასხვა კანონში იწვევს.

საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო.

## რა მდგომარეობაშია აჭარაში სამხედრო ბაზები?

**თავდაცვის** მინისტრმა თინა ხიდაშელმა მედიის წარმომადგენლებთან ერთად გუშინ აჭარაში მდებარე სამხედრო ბაზები დაათვალიერა.

თავდაცვის მინისტრმა ჯერ სპეციალური ოპერაციების ძალების საზღვაო სპეციალური დანიშნულების რაზმი მოინახულა, შემდეგ მებრძოლ მყვინთავთა კურსის ინსტრუქტორებსა და კურსანტებს შეხვდა და კურსის მიმდინარეობას დაესწრო. ამ მიზნით, თინა ხიდაშელი ჟურნალისტებსა და ჯარისკაცებთან ერთად გონიოს სამხედრო ბაზაზე, შავი ზღვისა და მდინარე ჭოროხის შესართავიდან ჯერ ნავებით, შემდეგ კი კატერებით გაემგზავრა.



„აჭარაში დისლოცირებული ჩვენი რამდენიმე ბაზა მოვინახულე, რამდენიმეზე ჟურნალისტებთან ერთად ვიყავი, თუმცა რამდენიმეზე სამწუხაროდ, მედიის წარმომადგენლებთან ერთად ვერ წავედით, რადგან ეს რეკომენდებული არ იყო. აგვისტოს ომის დროს ყველაზე მეტი დანაკარგი შეიარაღებული ძალების ამ ნაწილს ჰქონდა. აჭარაში ჩემი ჩამოსვლის და ყველა წერტილის მონახულების მიზანი იყო სწორედ ის, რომ 2016 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის წინ ზუსტად ვიცოდეთ, სად არის პრობლემები და მოვახდინოთ მისი იდენტიფიცრება, რათა შევძლოთ ხარჯების ეფექტურად დაგეგმვა. ბევრი რამ სჭირდება საზღვაო ნაწილს. ბუნებრივია, ერთ წელში ამას ჩვენ ვერ შევავსებთ, მაგრამ თუ 3-5-წლიან პერიოდზე გავთვლით, მიმაჩნია, რომ შესაძლებელი იქნება შედეგების მიღწევა“, — განუცხადა ჟურნალისტებს თინა ხიდაშელმა.

თავდაცვის მინისტრი მედიის წარმომადგენლებთან ერთად დღეს უკვე სენაკის სამხედრო ბაზებს დაათვალიერებს და მიმდინარე კვირის განმავლობაში ჟურნალისტებთან ერთად სწორედ სამხედრო ბაზებზე იცხოვრებს.

SIC!

# გასამართლება და მსჯავრი გაიზარდა, მაგრამ...

## აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში საქართველო იძულებითი შრომის წყაროდ სახელდება

**ტრეფიკინგის წინააღმდეგ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შეფასების შესახებ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველო არის ქალებისა და გოგონების სექს-ტრეფიკინგის, ხოლო მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების იძულებითი შრომის, ტრანზიტული და დესტინაციის ქვეყანა.**

დოკუმენტში ნათქვამია, რომ ქალები და გოგონები როგორც საქართველოში, ასევე თურქეთში, ჩინეთში, ეგვიპტეში, საბერძნეთში, რუსეთსა და არაბთა გაერთიანებულ ემირატებში სექს-ტრეფიკინგის ობიექტები ხდებიან. ასევე, აზერბაიჯანელი და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან ქალები საქართველოში კომერციული სექს-ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდებიან ბათუმის და გონიოს ტერიტორიებზე.




„ექსპერტების მონაცემებით, ქალები სექს-ტრეფიკინგის მსხვერპლი საუნებში, სტრიპტიზ-კლუბებში, კაზინოებსა და სასტუმროებში ხდებიან. ტრეფიკინგის მსხვერპლთა უმრავლესობა ახალგაზრდა, უცხო ქვეყნის მოქალაქე ქალები არიან, რომლებიც სამსახურს ეძებენ. ქართველი მამაკაცები და ქალები კი იძულებით შრომის მსხვერპლი არიან საქართველოში, ასევე თურქეთში, ერაყში, რუსეთში, აზერბაიჯანსა და სხვა ქვეყნებში“, — წერია ანგარიშში.

დოკუმენტის მიხედვით, ბოლო წლების განმავლობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების შრომითი ექსპლუატაცია ხდება საქართველოში სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და შიდა სერვისების სფეროში. ამას გარდა, როგორც ანგარიშშია აღნიშნული, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში ტრეფიკინგის შესახებ ინფორმაციის მოპოვება არ გახდა შესაძლებელი.

„საქართველოს მთავრობა სრულად ვერ ასრულებს ტრეფიკინგის აღმოფხვრის მინიმალურ სტანდარტებს. თუმცა, იგი მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ამისთვის. გამოძიებები, გასამართლებები და მსჯავრის დადების შემთხვევები გაიზარდა. პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერა განკარგულებას შრომის ინსპექციის შექმნის შესახებ იძულებით შრომასთან დაკავშირებული პრევენციული ზომების გაძლიერების მიზნით“, — აღნიშნულია დოკუმენტში.

ანგარიშში ასევე წერია, რომ საქართველოს მთავრობამ არ შეიმუშავა სტრატეგია ქუჩაში მათხოვრობის წინააღმდეგ სისტემატური ბრძოლის შესახებ, პოლიციამ კი უარი თქვა იძულებითი მათხოვრობის რამდენიმე შემთხვევის გამოძიებაზე.

დოკუმენტი რეკომენდაციებსაც მოიცავს, რომლის მიხედვითაც საქართველოში უნდა გაიზარდოს სამართალდამცველების საგამოძიებო უნარ-ჩვევები, ასევე უნდა გაიზარდოს მცდელობა ტრეფიკინგში ჩართული ეჭვმიტანილების საქმეების გამოძიებისა და მათი გასამართლების მიზნით და ტრეფიკინგის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით კამპანიები უნდა გაგრძელდეს.

**იოსებ ბაზაძე**

ფრთხილად!

# თაღლითები დევნილებს ფულს მოტყუებით სძალავენ

**ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის სოზარ სუბარის განმარტებით, მას შემდეგ რაც პრემიერ-მინისტრმა გააკეთა განცხადება, რომ თბილისის ზღვაზე 600-მდე დევნილს ბინა გადაეცემა, თბილისში გამოჩნდნენ და გააქტიურდნენ თაღლითები. მისივე თქმით, თაღლითები დევნილებს ატყუებენ, რომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ ბინებს მისცემენ.**

**უფრო დეტალურად ამ საკითხზე ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი ზვიად ლათიბაშვილი გვესაუბრება.**



— არსებობენ პიროვნებები, რომლებიც დევნილებს ატყუებენ ვითომ სამინისტროს მაღალჩინოსნებს ან მინისტრს პირადად იცნობენ და „საქმის მოგვარებას“ პირდებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ დაბალ ფასად ბინებს სთავაზობენ და მოტყუებით გარკვეულ თანხებს სძალავენ.

**— რამდენი ასეთი ფაქტია გამოვლენილი?**

— სულ სამი ფაქტი გამოვავლინეთ. 2014 წლის დეკემბერში უშუალოდ ჩვენს მიერ გამოვლინდა ასეთი ფაქტი და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად დავაკავეთ ერთი პიროვნება, რომელიც დევნილებს ბინის გადაცემას 1500 დოლარად ჰპირდებოდა და ეუბნებოდა, რომ კავშირი ჰქონდა სამინისტროს მაღალჩინოსნებთან, ამ დროს მას სამინისტროსთან არანაირი კავშირი არ ჰქონია. მეორე ფაქტი იყო ისევ 2014 წელს, ქვემო ქართლში ჩვენივე თანამშრომელი დავაკავეთ, რომელიც დევნილს ფულს სძალავდა. ის კაცი ახლაც სასჯელს იხდის. დაახლოებით ორი კვირის წინ, ზუგდიდში დავაკავეთ პიროვნება, რომელიც დევნილს „სოფლად სახლის შესყიდვის“ პროექტში დახმარებას ჰპირდებოდა და მოტყუებით სძალავდა 2000 ლარს, პირი თანხის გადაცემის დროს დავაკავეთ.

**— ეს თაღლითები ჩვეულებრივი მოქალაქეები თუ თავადაც დევნილები არიან?**

— სამი დაკავებულიდან ორი დევნილი იყო და სწორედ ისინი ატყუებენ დევნილებს, რომ ბინის მიცემაში დაეხმარებიან.

**— როგორ ხდება დევნილებისთვის ბინის გადაცემა?**

— დევნილებისთვის ბინის გადაცემა გარკვეული კრიტერიუმების შეფასების შემდგომ ხდება. დევნილი მინისტრის 304-ე ბრძანების მიხედვით გათვალისწინებული კრიტერიუმებით ფასდება. პირველ რიგში ბინა გადაეცემა პიროვნებას, რომელიც სოციალურად დაუცველია და მაღალი ქულა აქვს. ის შეიძლება იყოს მრავალშვილიანი, ან ოჯახის წევრი ომში გარდაცვლილი ჰყავდეს, ანუ პირველ ეტაპზე ბინა ყველაზე გაჭირვებულ ფენას გადაეცემა და შემდგომ ქვედა ზღვარის დაკმაყოფილება ქულების მიხედვით ხდება.

**— დევნილებისთვის ბინის გადაცემის გადაწყვეტილებას ვინ იღებს?**

— დევნილებისთვის ბინის გადაცემის გადაწყვეტილებას იღებს კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია არა მარტო სამინისტროს თანამშრომლებით, არამედ კომისიაში შედის რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, ფიზიკურად შეუძლებელია რაიმე დახმარების გაცემა იმიტომ, რომ გადაწყვეტილება ერთპიროვნულად არ მიიღება და ყველას თანაბარი ხმის უფლება აქვს. ჩვენამდე ინფორმაცია არ მოსულა, თუმცა, ჭორის დონეზე დადის, რომ ვიღაცამ თაღლითს ბინისთვის ფული გადაუხადა, შემდეგ ის დაიმალა, მაგრამ მსგავსი საჩივრით ჩვენთან არავინ მოსულა. მინდა, აქვე დავამატო, რომ თბილისში დევნილებს ბინებს გადავცემთ და გვინდა მათ მოვუწოდოთ, რომ **თაღლითების მახეში ნუ გაებმებიან, გამორიცხულია ვინმემ მსგავსი დახმარება გაუწიოს, მსგავსი ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში ან სამინისტროს მომართონ ან ნებისმიერ სამართალდამცავ ორგანოს.**

**თაკო ესებუა**



◉ მოსალოდნელი რაკურსით



## მომე ერთი ღერი თმა, მიშა!

### იგორ პალიცა სააკაშვილს: მესმის, რატომ გაიქეცით, როდესაც ჟურნალისტმა ნარკოლოგიური შემოწმებისთვის თმის ღერი გთხოვათ

მიხეილ სააკაშვილის წინამორბედმა, ოდესის ოლქის ყოფილმა გუბერნატორმა იგორ პალიცამ მიხეილ სააკაშვილის საქმიანობის კომენტირებისას, საკუთარ FACEBOOK-გვერდზე დაწერა:

**„სანამ სააკაშვილი აქ არ იყო, ჩვენ ყველამ ერთად მშვიდობა შევინარჩუნეთ, შევარიგეთ ხალხი. დიახ, მე არ ვამტვრევდი ჯებირებს, არ დავდიოდი სხვის დასანახად სამარშრუტო მანქანით, არ დავდიოდი პლაჟზე, არ ვსეირნობდი ველოსიპედით სამუშაო დროს, არ ვაკეთებდი ხმამაღალ და პოპულისტურ განცხადებებს და არ ვძაბავდი დნესტრისპირეთის ირგვლივ არსებულ სიტუაციას. ქრთამებზე ყოველთვის ვაკავებდით ადამიანებს, უბრალოდ, ასეთ წვრილმანებზე არ ვიპიარებდით თავს.**

**ჩემი განკარგულებით, 2014 წლის ბიუჯეტის 95% გზების მშენებლობაზე გავანაწილეთ. ბევრი რამ გავაკეთეთ, მაგრამ ყველაფერი ვერა. ჩვენ უბრალოდ ვმუშაობდით და არ ვიპიარებდით თავს. ჩვენ არ გვქონდა იმის უფლება, რომ უკრაინის კანონები დაგვერღვია, რომელიც თქვენ გაქვთ.**

**P. S. მე მესმის, თუ რატომ გამოხვედით მწყობრიდან და გაიქეცით, როდესაც ტელეკომპანია „1+1“-ის ჟურნალისტმა ნარკოლოგიური შემოწმებისთვის თმის ღერი გთხოვათ. თქვენ იცით, რომ დრო ყველაფერს თავის ადგილზე დაალაგებს. საქართველოდან თქვენ ხალხმა ქვების სროლით გამოგაგდოთ. ვნახოთ, როგორ დატოვებთ ოდესას“,** — აღნიშნავს პალიცა.

◉ ინფორმაცია

### იმერეთში „C ჰეპატიტის“ უფასო სკრინინგ აქცია დაიწყო

**მხარის თორმეტივე მუნიციპალიტეტში პაციენტები სამედიცინო გამოკვლევებს ჩაიტარებენ. პირველი აქცია თერჯოლის მუნიციპალიტეტში გაიმართა.**

**მობილური ლაბორატორიის მეშვეობით 250–მდე პაციენტმა „C ჰეპატიტზე“ უფასო სამედიცინო კვლევები ჩაიტარა. პარალელურად სამედიცინო დახმარება ზესტაფონის მუნიციპალიტეტშიც განხორციელდა. მომსახურება 300–ზე მეტმა ადგილობრივმა მიიღო. პაციენტებმა ჩატარებული კვლევის შესახებ ინფორმაცია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს უნდა წარუდგინონ.**




ინტერპრესი

◉ დაგვიანებული ოცნება

# გზა, ურმის გადაბრუნების შემდეგაც რომ აღარ ჩანს?!

**თბილისი მართლა იქნებოდა კარგი, ლამაზი ქალაქი რომ მოევლოთ მისთვის. არქიტექტორებთან ერთად შეეჯერებინათ დედაქალაქის დაგეგმარება და მიჰყოლოდნენ იმის ულამაზეს ლანდშაფტს... ეჰ, ეს დაგვიანებული ოცნება კაცს გაალიზიანებს მხოლოდ. დაგეგმვა და ლანდშაფტის გათვალისწინება კი არადა, დღემდე თხრიან ქუჩებს, სკვერებს და განა ახალს აკეთებენ რასმეს, ითხრება ერთი და იგივე ადგილები ათჯერ და ვერ ვხვდები რატომ. მე კი არადა, ვერც თავად მთხრელები და ამ გათხრების შემკვეთნი ხვდებიან, რად თხრიან და რას აკეთებენ...ამიტომ არის ქალაქი მუდამ აბურდულ-დაბურდული...**

მგონი წელიწადიც არ არის გასული, რაც აღადგინეს და გაწმინდეს ვაკის პარკის სანიაღვრე სისტემა და მობრძანდით და ნახეთ, ახლა რა ხდება იქ... და არა მარტო იქ, აქაც და იქაც, იმ უბანში თუ ამ უბანში, ტყეშიც და ველზეც, ყველგან სადაც ფეხი დავადგით, ყველგან გავთელეთ ცივილიზაციის ნებისმიერი მოცემულობა, შევირცხვინეთ თავი ბუნების წინაშე... და მაინც გვიკვირს რატომ ვართ ჩამორჩენილები, ღარიბები, რატომ ვერ მივაღწიეთ ევროპის დონეს. ეს დონე და სიმაღლე თავად ევროპელებმა შექმნეს შრომით, ორგანიზებით და არა შორს, სხვა ქვეყანაში გაქცევით. სხვათა შორის, სიმართლე უნდა ითქვას და, როცა გერმანელებიც გააქციეს საკუთარი სამშობლოდან (თუ რა და როგორ მოხდა ისტორიამ იცის) და მოხვდნენ ისინი ჩვენს ქვეყანაში თუ სხვაგან, ყველგან თავიანთი გერმანია აიშენეს, ქუჩიდან დაწყებული სახლამდე, სახლიდან — ეკლესიამდე, ბაგა-ბაღებამდე, სკოლამდე და ასე შემდეგ.

მოდით, ჩვენც ავაშენოთ ევროპა ჩვენს ქვეყანაშიო და მგონი პირდაპირ ღამის რესტორან-ბარებითა და ტოტალიზატორებით დავიწყეთ, და გავაგრძელეთ ისეთი სიმახინჯეებითა და უსახური წვრილმანებით , რომლის ჩამოთვლას აზრი არა აქვს, თუმცა, ჩვენი — ქართული ცნობიერების რღვევისთვის აქვს მნიშვნელობა. ოცდაათი წლის წინათ, წარმოუდგენელი იყო, გენახა ქართველი კაცი, მით უფრო ქალი, დღისით, მზისით, გზად მიმავალი, პირდაპირ ბოთლიდან წყლის ან სხვა რამ სასმელის მსმელი, წყლის სმას ვინ დაეძებს, ერთმანეთს რომ „სვამენ“ დ „ჭამენ“ გოგო-ბიჭები ურცხვად და უტიფრად, გამვლელ-გამომვლელს არად აგდებენ... გაგეცინებათ და, პირველად რომ ვნახე ასეთი უმსგავსობანი, დიდად შევცბუნდი, მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, კარგთან ერთად ბევრი რამ ცუდიც შემოდის და



ავითვისეთ საზღვარგარეთელი მეზობლებისაგან, ზოგიც დრომ და პირობებმა აგვათვისებინ-შეგვაძენინა, სულ სხვა ეპოქაა და სულ სხვა საუკუნეა. გლობალიზაციისაო, ამბობენ, ერთმანეთს უნდა დავემსგავსოთო... კარგით დავემსგავსოთ , მაგრამ მაინცდამაინც უზნეობაში? თუმცა, რა სალაპარაკოა, ყველაფერს ვეჩვევით, ერთი რამ მაინც ვერ გამიგია, რატომ ან როგორ უნდა შევეჩვიოთ ღამით, მაშხალებით გამოწვეულ გრიალ-ზანზარს, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც პატარებს ვაძინებთ — ცხრაათ საათზე, ან ჩვენ, დიდებმა რა დავაშავეთ ღამის თორმეტ საათზე, ახალ ჩაძინებულებს რომ წამოგვყრიან საწოლებიდან ... ბევრ რამეს შეიძლება ადამიანი შეეჩვიოს, მაგრამ ისეთ ხმაურს, ქვემეხების ქუხილსა და ატომური ბომბის გასკდომას რომ უტოლდება? არა, ნამდვილად არა, ადამიანის ნერვიული სისტემა სხვაგვარად არის მოწყობილი და ასეთი ძლიერი ხმაური იწვევს დიდ სტრესს და განუკურნებელ დაავადებებს, და საინტერესოა, საიდან და რომელი ქვეყნიდან გადმოიღეს ეს აურზაურით გართობა, ყოველღამეული მაშხალობანა? რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში არამც თუ ვყოფილვარ, არამედ წლობით მიცხოვრია კიდეც, მსგავსი არაფერი მინახავს!

დავუბრუნდეთ ჩვენს ქალაქს. მის ეკოლოგიურ და არქიტექტურულ გავლენას ადამიანზე. ჩვენეული გზით, ქართველური ელფერით წინსვლისა და ამაღლებისათვის, ქართული კულტურის განვითარებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა მაინც არქიტექტურას აქვს, ცენტრალურ ქალაქებში თუ რეგიონებში საცხოვრებელი სახლების, სხვადასხვა დანიშნულების ორგანიზაცია — დაწესებულებების, ეკლესია-მონასტრების, განათლებისა და კულტურის ძეგლების ზემოქმედება, ზოგადად არქიტექტურა, რომ უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანზე, მის გარეგნობაზეც კი, მანერებზე, ჟესტიკულაციასა და თქვენ წარმოიდგინეთ, თავად მეტყველების სტილზე (საარტიკულაციო ბაზა იხვეწება?), ყოველივე ეს ცნობილია და არა წერილის ავტორის კვლევითი დასკვნა. და ჩვენ როგორი არქიტექტურა შემოვიტანეთ? და სად დავნერგეთ? შევინარჩუნეთ კი ის ძველი ნაშთი ქართული არქიტექტურისა ჩვენს ქალაქში, რომელმაც თბილისს განუმეორებელი იერი მისცა და საკმაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა ქალაქელთა ყოფასა და ზნე-ჩვევაზე? ყოველივე ამაზე სპეციალისტები და პროფესიონალები გაცილებით უკეთ საუბრობენ, მხოლოდ ის მინდა, ვთქვა, რომ უცნაური ხალხი ვართ, ევროპელების, კერძოდ, გერმანელების მსგავსად ჩვენ ჩვენი სამშობლო სხვაგან, სხვა კონტინენტზე კი არა საკუთარ მიწაზე ვერ ავიშენეთ, ჩვენს ძველ უბნებში ქართული სულის გამომხატველი, ყოფის შესაფერი სახლები, რეაბილიტაცია-რეკონსტუქციის ნაცვლად დავანგრიეთ და სამაგიეროდ, ავაშენეთ უსახური მრავალსართულიანები, რომელთა არქიტექტურას და სილამაზეს ვინ დაეძებს, სავსებით არ არის გათვალისწინებული მიწის სიმყარე, სეისმომედეგობა, სივრცე, ჯანსაღი ცხოვრების პირობები... მაპატიეთ, ძვირფასო მკითხველო, რომ კვლავ შეგახსენებთ 13 ივნისს თბილისში დატრიალებულ უბედურებას, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ჩვენ დაგვემართა, რაღაც ხომ უნდა დაგვენახა, რა ვიცი, ურემი რომ გადაბრუნდებოდა, გზა მერე მაინც ჩნდებოდა და ახლა რა მოგვდის, ნუთუ არც ურმის გადავბრუნებამ გვიშველა? იმ აწ დაქცეულ-გატიალებულ მზიურში მანჰეტენი ავაშენოთო, ვინ იხუმრა ასე მწარედ... მაგრამ ჩვენი ქცევებიდან და მშობლიური კულტურისადმი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, შეიძლება არც იყო ეს აზრი ხუმრობა. ჩვენ ხომ ჩვენს სამშობლოში ხან ევროპას ვიშენებთ, ხან ამერიკას. იყო დრო, როდესაც რუსეთს ვიშენებდით. რუსულ ენას, რუსულ წარწერებს, რუსულ წიგნებს უპირატესობას ვანიჭებდით, იმ რუსეთისას და რუსულისას, რომელიც ახლა ეკლიანი მავთულხლართებით გვლობავს და ძალიან ადვილი და გაცილებით იაფფასიანი ხერხით, ვიდრე თოფ-ტანკებია, მოიწევს და მოიწევს ქართულ მიწაზე, საზღვარი არა აქვს მის თავხედობას, მაგრამ ჩვენ კი გვაქვს საზღვარი? სად დავკარგეთ და როდის ეს საზღვარი? საზღვარიც დავკარგეთ და კიდევ უფრო მეტი რამ, — ადამიანობა.

„სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა?“... ჰმ, რომელ სისპეტაკეზეა ლაპარაკი, საერთოდ გვაქვს კი სული? სად არის ან სული, ან გული. სად არის სიწმინდე და პატიოსნება. ქვეყანას აქცევენ და ერთმანეთს აბრალებენ: შენა ხარ დამქცევიო. პუტინი და მისი მთავრობა ბიძინა ივანიშვილმა აიძულა თურმე, ყურში ჩასჩურჩულა: მოდი, სწორედ ახლაა დრო, შემოგვიტიე მავთულ-ხლართებითო, თორემ რუსეთის იმპერატორი რას და როგორ მიხვდებოდა ამ უცნაური ხერხით საქართველოს მიწების დაპყრობას და თბილისისკენ გეზის აღებას! ეს ივანიშვილიც ვინა ყოფილა, სამების დიდი ტაძარიც რუსებისთვის ააშენა, გრანდიოზულ „თბილისის პანორამასაც“ რუსებისთვის აშენებს... ყველა მთავრობას (მათ შორის, ნაციონალებსაც) უწყობდა ხელს, უამრავ თანხებს დებდა საქართველოს გასაძლიერებლად კი არა, პუტინის მთავრობის შემოსაყვანად... სასწაულია, მაინც ვერ შემოიყვანა, აი, როგორი მაგრები ვართ ქართველები (ნაციონალები!)! მანჰეტენს თუ ავაშენებთ, ინგლისურ-ამერიკული წარწერებით (დამწერლობით) შევცვლით ქართულს, ჩვენი ბავშვები თუ სრულიად დაივიწყებენ ქართულ ჰანგებს და ინგლისურ-ამერიკულად ამღერდებიან, აი, მაშინ ნახეთ, რა კარგად წაგვივა საქმე — „პროევროპულ-ამერიკულად“. ჩვენ ქვეყანას სხვები მოუვლიან, რაში გვჭირდება ქართული განათლება, მედიცინა თუ სხვა ნებისმიერი **მეცნიერება... ევროპასა და ამერიკაშიც კარგად ვითარდება ყოველივე ეს და, ჩვენ კი** სხვათა ქვეყნების მოხუცებს მოვუაროთ, ჩვენი მოხუცები, ჩვენი მშობლები კი ბედის ანაბარა მივატოვოთ, ჩვენი შვილები ამერიკულ-ინგლისურ სკოლებს აღვაზრდევინოთ, სხვის მიწაზე გადავნერგოთ, ჩვენს მიწაზე სხვა რჯული და სხვა ჯიში ჩავთესოთ, რა მოხდა მერე, იმედია, ჩვენს ქვეყანას ერთხანს მაინც მოიხსენიებენ საქართველოდ. მერე თუ დაივიწყებენ, ისტორიაში ხომ დავრჩებით მაინც!

თუმცა, არც არავის უნდა გაუკვირდეს, რომ ისტორიაშიც არ აღმოვჩნდეთ, ჩვენი საყვარელი მეზობლები, ძმები ისეთ ისტორიებს თხზავენ, საქართველოსთვის ადგილი არც ფურცელზე და არც მიწაზე აღარ რჩება...

**ერთი სიტყვით, რამდენჯერ უნდა გადაგვიბრუნდეს ეს საცოდავი ურემი, რომ ქართველებმა საკუთარი გზა ვიპოვოთ და სხვის გზას არ დავადგეთ, სხვისი სახლები და სხვისი ტაძრები არ ავაშენოთ, ჩვენი წინაპრების სისხლითა და ოფლით გაჟღენთილ მიწაზე?..**

**გულნარა სტურუა**

# ხვალ გვიან რომ იყოს?!



**ხალხში რომ უამრავი კითხვა დაგროვდა, ფაქტია. საზოგადოებაში, კერძოდ ხშირად საუბრობენ სხვადასხვა სფეროში არსებულ ვითარებაზე, დარღვევებსა და ნაკლოვანებებზე. ამ წერილში მხოლოდ რამდენიმე პრობლემაზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.**

დავიწყოთ განათლების სფეროდან, რადგან სექტემბერი გვიახლოვდება, სექტემბერი კი, მოგეხსენებათ, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ასოცირდება. უკვე გვარწმუნებენ, რომ მოსწავლეებს ახალ წიგნებს აღარ მისცემენ, ცოტა ადრე მაინც ეთქვათ, ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით ხომ არა მარტო კვების პროდუქტები გაძვირდა, არამედ ტანსაცმელიც, ფეხსაცმელიც და სხვადასხვა ნივთებიც. რა ქნას მშობელმა, თუ ოჯახში 3 მოსწავლეა? როგორ უყიდოს შვილებს წიგნებიც და ტანსაცმელიც.

მაინც, რატომ არის ახალი წიგნები, ისე მძიმე, რომ პატარა ბავშვებს მისი ტარება ძალიან უჭირთ? ალბათ, ბევრ თქვენგანს შეხვედრია ცეროდენა მოსწავლე, რომლის ჩანთასაც თანმხლები დედა ან ბებია ძლივს მიათრევს. ნუთუ არ შეიძლება ე. წ. ცარცის ქაღალდზე არ დაიბეჭდოს, თან ასეთ წიგნებს თხელ გარეკანს რატომღა უკეთებენ, რომელიც ძალზე მოუხერხებელია?!

ახლა ორიოდე სიტყვა თვით სკოლების შესახებაც ვთქვათ. 61-ე საჯარო სკოლა ქალაქის ცენტრში – დოლიძის ქუჩის დასაწყისში მდებარეობდა, მოსწავლეთა რაოდენობას ნამდვილად არ უჩიოდნენ, მაგრამ, იცით, რა იყო საინტერესო? თუ სკოლებს ალამაზებდნენ სასექტემბროდ, აქ მხოლოდ ფასადი და შემოსასვლელიდან დირექტორის კაბინეტის ჩათვლით ილებებოდა კედლები, სანიტარიულ კვანძებში კი უსუფთაობა სუფევდა. ყველას უკვირდა, ასე რატომ ექცეოდნენ ამ სკოლას.

აღსანიშნავია, რომ სკოლას მინიჭებული ჰქონდა თავისივე აღსაზრდელის, აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ფეხბურთელის, ზაზა ბენდელიანის სახელი, აგრეთვე შესასვლელ კედელს ამშვენებდა ამ სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის, ცნობილი მათემატიკოსის ნატროშვილის ბარელიეფი. ნუთუ ყველაფერი ეს უნდა წაიშალოს? მიზეზი? ავარიულობის გამო გაიცა მისი დანგრევის ბრძანება, არადა რამდენიმე თვე ანგრევდნენ, ადვილად ვერ მოერივნენ, ის კი არავის უთქვამს, თვითონ რომ მიიყვანეს ამ მდგომარეობამდე. ახლა იმას ამბობენ, ყველაფერი ბლეფია, ვიღაცას „ზემოდან" ეს ადგილი სჭირდებოდა და იმიტომაც ასე მონდომებით ანგრევდნენო, სკოლას არა, მაგრამ გასართობ ცენტრს, ანდა ცენტრალურ ტოტალიზატორს აგვიშენებენო (ასე რომ „აკლია" ჩვენს ქალაქს), რა ვიცი ჭორია თუ სიმართლე, ამ უბანში კი ყველა ასე ამბობს!..

აქვე, დოლიძის ქუჩის დასაწყისში შესანიშნავი სკვერი იყო აუზით, დღისით სტუდენტები, საღამოთი კი ხანდაზმული ადამიანები აქ ისვენებდნენ და საუბრობდნენ, მერე, ძნელბედობის დროს, ხალხს რომ გაუჭირდა, ჯიხურები დადგეს, ბოლოს ყველას აალებინეს, არავის გაუფორმეს 10 კვ.-იც კი, რადგან ადგილი რეკრეაციულ ზოლშია და ვინმესთვის მიკუთვნება არ შეიძლებაო, ახლა კი 3 თუ 4-სართულიან გასართობ ცენტრს აშენებენ. თუკი არ შეიძლებოდა, ვინც იქ მუშაობდა, იმათთვის მიეცათ, – რატომ მისცეს იმას – ვინც აქ გასართობ ცენტრს აშენებს? კანონით ხომ ყველა თანაბარია, თუ არ შეიძლება ერთისთვის, არც მეორისთვის უნდა შეიძლებოდეს, ასე არ არის?

* * *

**ახლა** ვაკანსიებსა და სახელმწიფო კონკურსებს მინდა შევეხო. მოგეხსენებათ, – ქალაქად მცხოვრებთა უმეტესობა დაუსაქმებელია, სამსახურს ვერ შოულობენ, ყველა ვაკანსიის გამოცხადება თითქმის ფორმალურად ხდება, მე არ მჯეროდა, მაგრამ ჩემმა ახლობელმა ახალგაზრდამ, რომელმაც უცხო ენაც იცოდა და უმაღლესდამთავრებულიც იყო, ადგილს (გამოცხადებულს) ვერსად „მიუსწრო", რა უნდა ექნა, მოახერხა და უცხოეთში წავიდა. ასეთი ერთი და ორი რომ იყოს, მოითმენდა კაცი, მაგრამ, საუბედუროდ, ძალიან, ძალიან ბევრია.

ეს ხალხის მოტყუებააო, – ამბობენ, შენგან საბუთს კი მიიღებენ, მაგრამ სამსახურზე უარს გეტყვიან, ან საერთოდ არაფერს გაცნობებენო (მოკეთე ან ნაცნობი ვის არ ჰყავს ჩვენს ქალაქში), უბრალოდ, ვაკანსიებს საზოგადოების თვალის ასახვევად აცხადებენო.

**ხვალ კი არა, ხელისუფალნო, დღესაც უკვე გვიანია!**

გამონაკლისი მხოლოდ კერძო დაცვის სამსახურია, სადაც ძირითადად ვაჟებს იღებენ, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ, ხელფასს თვეში 220-230 ლარს აძლევენ, თურმე იმ მოტივით, რომ 24 საათს კი მუშაობენ, მაგრამ მერე 2 დღე ისვენებენო. ზოგი 4-5-მილიონიანი დაწესებულების მცველთა რიგში დგას, შეიძლება, ასეთი დაბალი ხელფასი დღეს ადამიანს ჰქონდეს? არ გინდა და წადიო, ვისაც უნდა ის მოვაო, ეუბნებიან ახალგაზრდებს, ზოგს 2 და 3 შვილიც ჰყავს – როგორ გაუძლვეს ოჯახს? აშიმშილოს? ესეც რომ არ შეუძლია, ზოგი მოხერხებული ჩუმად სხვაგანაც იწყებს (ისევ დაცვაში) მუშაობას. გაემტყუნება? ნამდვილად არა. ამას წინათ ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა ბრძანა – კარგ კადრებს ვეძებთო! სად ეძებენ? კადრები არის, მაგრამ ნაცნობი ან ახლობელი „დიდი" კაცი რომ არ ჰყავს, რჩება უმუშევარი. დასაქმება, სამუშაო ადგილების გაჩენა ერთ-ერთი პრიორიტეტია არა მარტო მთავრობისთვის, არამედ ბიზნესისათვისაც.

საბიუჯეტო სამსახურებში ხელფასები დიდია, დაცვის მუშაკებსაც 1000 ლარამდე ჰქონიათ, მაგრამ ჩვენ, ჩვეულებრივ მოკვდავთ იქ ვინ მიგვიღებს?

* * *

„ოცნების" მთავრობა ამბობს, პენსიები 150 ლარამდე გავზარდეთო. გჯერათ? მე არა და ამიტომ ვამბობ ჩემს სათქმელს. სააკაშვილის მოსურნე ჩემი მტერი და დამაწყევარი იყოს, მაგრამ ხომ ყველამ ვიცოდით, სააკაშვილიც დროსაც რომ მომავალ სექტემბერში გვექნებოდა 150 ლარი, ჩემი მთავრობა კი, რომელსაც თავად მე დიდი იმედებითა და სიხარულით მივეცი არჩევნებზე ხმა და ბევრსაც მოვუწოდებდი, ჩემსავით მოქცეულიყვნენ, გამარჯვებიდან 3 წლის შემდეგ მხოლოდ 10 ლარი გაიმეტა პენსიონერებისთვის დასამატებლად. ეს სხვა რომ არაფერი, სირცხვილია, ეს ჩვენს სულში ჩაფურთხებაა.

კი, მართალია, დღეს უჭირს არა მარტო პენსიონერებს, არამედ უამრავ ადამიანს, ოჯახს, პატარა ბავშვსაც კი, რამდენი ავადმყოფია მათ შორის, თან წყალდიდობამ ძალზე მტკივნეულად დააზარალა ბევრი თბილისელი, დაიღუპნენ ადამიანები, მაგრამ, კიდევ რამდენი „მაგრამ" უნდა ვიხმარო ერთ საგაზეთო წერილში? ჩვენმა მთავრობამ ხომ წყალდიდობამდე გამოგვიცხადა 10 ლარის მომატება. მეუბნებიან, ახია შე-

◎ ეროვნული ფასეულობები

# ქვეყანას გაუკაცურება მოელის!

**მშრალი სტატისტიკური ციფრები, თვალის ერთი გადავლებით, თითქოს ბევრი არაფრის მთქმელია, თუმცა თუ მათ სიღრმისეულად დავაკვირდებით, ბევრი საგულისხმო დასკვნის გამოტანა შეიძლება. მით უმეტეს როცა საქმე ახალგაზრდობას, ანუ ქვეყნის მომავალს ეხება. და როგორი იქნება იგი, დიდწილად, სწორედ დღევანდელი ქალიშვილებისა და ჭაბუკების ოცნებებზე, სურვილებსა და მისწრაფებებზეა დამოკიდებული. ცხადია, კიდევ იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ისინი თავიანთი მიზნების აღსრულებას, როგორ დაძლევენ იმ ბარიერებს, რომლებიც მათ ცხოვრების გზაზე მრავლად შეხვდებათ.**

ამ მხრივ მეტად საგულისხმო კვლევის შედეგებია უაღრესად საინტერესო, რომელიც ცნობილმა დემოგრაფმა **ანზორ თოთაძემ** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მხარდაჭერით დემოგრაფიული აღორძინების ფონდში ჩაატარა, კვლევის პროცესში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, თბილისის სამი უმაღლესი სკოლის, მათ შორის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო, ტექნიკური და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტების ხუთასი სტუდენტი გამოკითხა. აღნიშნული სამუშაოს მიზანი საქართველოს წინაშე მდგარი დემოგრაფიული და ზოგიერთი სხვა პრობლემისადმი ახალგაზრდობის დამოკიდებულების დადგენა, ასევე იმის გარკვევა იყო, როგორ წარმოუდგენიათ თავიანთ მონაწილეობა წამოჭრილ საკითხთა გადაჭრის პროცესებში.

კერძოდ, შეკითხვაზე თუ **რა არის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი,** 62 პროცენტმა ვაჟმა უპასუხა, რომ ესაა **ოჯახზე ზრუნვა,** ქალიშვილების 67 პროცენტს კი წინა პლანზე **პროფესიული ზრდის პერსპექტივა და პიროვნული დამოკიდებულება** აქვს წამოწეული.

ვფიქრობთ, დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ახალგაზრდების უმეტესობა **თავისუფალი დროს გატარებას კომპიუტერთან, ტელევიზორთან ან მობილურ ტელეფონთან ამჯობინებს.** გამოკითხულთაგან 68 პროცენტს **ბოლო ერთი თვის მანძილზე არც ერთი ნაწარმოები არ წაუკითხავს.** მათგან თითქმის ნახევარს (48 პროცენტ) **„ვეფხისტყაოსანს" ბოლომდე არ იცნობს,** 46 პროცენტს **შექსპირის,** ხოლო 67 პროცენტს **გოეთეს** თუნდაც ერთ ნაწარმოებზე წარმოდგენა არა აქვს.

სახარბიელო მდგომარეობა არც ისეთი ქართული ეროვნული ფასეულობის მხრივ არის, როგორიცაა **ოჯახი.** მაგალითად, **ქორწინების გარეშე თანაცხოვრება** სავსებით მისაღებია ვაჟების 50 პროცენტისთვის, ასეთივე დამოკიდებულებას გამოხატავს ქალიშვილების 32 პროცენტი. მეტიც: უახლოეს სამ წელიწადში **დაქორწინებას აპირებს** ვაჟების მხოლოდ 23 და ქალიშვილების 30 პროცენტი. გაცილებით უკეთესი, თუმცა კი, მაინც აშკარად დამაფიქრებელი დამოკიდებულია გოგო-ბიჭების **მშობლებისადმი პატივისცემის** მხრივ: ეს გრძნობა უმნიშვნელოვანესია მათი, შესაბამისად, 88 და 82 პროცენტისთვის.

კვლევაში განსაკუთრებულადაა აღნიშნული ახალგაზრდების დამოკიდებულება მომავლისთვის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი, როგორიცაა **ალკოჰოლიანი სასმელებისა** და **ნარკოტიკების მოხმარება,** ასევე **თამბაქოს მოწევა.** კერძოდ, ნათქვამია, რომ, მათი ტრფიალი უწინდელზე ნაკლები კია, მაგრამ ნამდვილად საგანგაშო – ჭაბუკთა 22 პროცენტი ნარკოტიკებით დროდადრო „ერთობა".

ასევე გაირკვა, რომ **სქესობრივ ურთიერთობას 14-15 წლის ასაკში** ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილი იწყებს, თუმცა კი, ამ დროს მათი მოუწესრიგებლობის არსებულ საფრთხეებზე, სხვადასხვა ვენერიულ სნეულებათა პროფილაქტიკასა და კონტრაცეპტივებზე მათმა უმრავლესობამ ბევრი არაფერი იცის. დღესდღეობით სქესობრივი ურთიერთობები აქვთ ვაჟების 76 და ქალიშვილების 72 პროცენტს. რესპონდენტ ქალიშვილთა შორის **პირველი აბორტი** 14-15 წლის ასაკში გაკეთებული აქვს 7 პროცენტს, თანაც ისე, რომ ამ მიზეზით შესაძლო უშვილობის თაობაზე მათ არაფერი იციან. კიდევ უფრო აღმაშფოთებელი სტატისტიკაა 18-22 წლის ქალიშვილებში, რომელთა შორის დაახლოებით ყოველ მეხუთეს (18 პროცენტს), აბორტი რამდენჯერმე აქვს გაკეთებული.

სასიხარულოა, რომ მავანთა ბევრი მცდელობის მიუხედავად, **ერთსქესიანი ურთიერთობები** გამოკითხულთა 97 პროცენტისთვის მიუღებელია, დანარჩენები კი ასეთ პირებს ყურადღებას არ აქცევენ, თანაც მათდამი აგრესიის გამოხატვის მომხრე არავინაა.

ქალიშვილთა 94 პროცენტს სურს, **სამი შვილი ჰყავდეს,** იგივე აზრი აქვს ჭაბუკთა 86 პროცენტს.

იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლებში საქართველოში უმაღლესი განათლების დონე შესამჩნევად ამაღლდა, გამოკითხულთა 55 პროცენტს მაინც **საზღვარგარეთ ურჩევნია სწავლა,** თუმცა კი, ზოგადად უცხოეთში გამგზავრების მსურველთა ოდენობა გაცილებით მაღალია – 98 პროცენტი. მათგან 27 პროცენტს საზღვარგარეთ მუშაობა უნდა, 10 პროცენტს კი – იქ მუდმივად ცხოვრება. უცხოეთში წასვლის სურვილი კი მხოლოდ 2 პროცენტს არა აქვს და ეს საკმაოდ დამაფიქრებელი გარემოებაა, რადგან, ქვეყნის მოსახლეობის ბოლო საყოველთაო აღწერის წინასწარი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში დღესდღეობით დაახლოებით 3,7 მილიონი მოსახლეა და ასეთ ცუდ დემოგრაფიულ ვითარებაში საზღვარგარეთ თუნდაც რამდენიმე წლით წასვლის მსურველი ახალგაზრდების თითქმის 100-პროცენტიანი მაჩვენებელი, სამომავლოდ არაფერ სასიკეთოს არ გვიქადის.

ამ პრობლემის გადაჭრა, ბუნებრივია, საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდში ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავია.

– საიმისოდ, რომ საქართველოს გენოფონდი გადავარჩინოთ, ქვეყნის მთავარი მამოძრავებული ძალა ახალგაზრდობა უნდა იყოს. ამისათვის კი აუცილებელია, სახელმწიფომ ახალგაზრდობის წახალისების, სამშობლოში მის დამკვიდრებაზე ორიენტირებული პოლიტიკა გაატაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას გაუკაცურება ემუქრება, – ამბობს ფონდის ხელმძღვანელი **თამარ ჩიბურდანიძე,** რასაც სავსებით ვიზიარებთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

ნისთანებზეო, მაგრამ ეს ხომ გამოსავალი ნამდვილად არ არის, გამოსავალი კი ჩვენმა არჩეულმა მთავრობამ უნდა მონახოს, ამიტომ აფინანსებს მათ ხალხი ასე გულუხვად და უშურველად. პენსიონერებიც სწორედ ამ გამოსავალს ველოდებით დღევანდელი მთავრობისაგან, რათა ყველაფერი იღონონ პენსიების გასაზრდელად!

* * *

**ლარის** გაუფასურების გამო ხალხს რომ გაუჭირდა, არახალია, მაგრამ ყველაფერს ერთ კაცს – ეროვნული ბანკის მმართველს ნუ დააბრალებთ. თუ ასეა, რა გახდა ეს ერთი კაცი? ნუთუ არ შეიძლებოდა თავის დროზე ჩამოგეცილებინათ ეროვნული ბანკიდან? ნუთუ მისი გათავისუფლება მართლა ასე ძნელი იყო, ახლა ხომ ამბობთ, მხოლოდ პარლამენტს აქვს უფლება, ეროვნული ბანკის საქმეში ჩაიხედოსო, რატომ არ გააკეთა ეს პარლამენტმა თავის დროზე? სანამ ხალხი ასეთ დღეში ჩავარდებოდა? ნოდარ ხადურიც ძალიან გვეიმედებოდა, არჩევნებამდე ტელევიზიით საათობით რომ გამოდიოდა, ათას სიკეთეს გვპირდებოდა, სად არის ახლა ეს სიკეთეები? ხალხს ბანკის ვალებისგან თავის დაღწევა უჭირს, ცხოვრება უარესობისაკენ მიდის, გამოიღვიძეთ, გააქტიურდით, მთავრობის ხელმძღვანელებო, თითოეულო მინისტრო, თორემ არჩევნები მალე მოვა და ინანებთ.

განვითარებადი ქვეყანა ვართ, გვიჭირს ეკონომიკურად, ამ დროს კი ვინ იცის, ისევ, ნაციონალების მსგავსად რამდენს ვხარჯავთ არაფრისმაქნის ღონისძიებებში. ხშირ შემთხვევაში ისე, რომ სიკეთე დღემდე არაფერში გვინახავს...

რაც შეეხება ჩინოვნიკთა ხელფასებს, პრემიებს და დანამატებს, ამაზე სამარცხვინო და ამაზრზენი არაფერი მსმენია. რა გახდა ასეთი საშუალო ანაზღაურების დარეგულირება?!

**ნაზი იმნაიშვილი.**

**P. S. ეს საკითხები მკითხველის სამსჯავროზე რომ გამოვიტანე, ერთი შეხედვით, არც გლობალურია და არც მართლმსაჯულების სფეროს განეკუთვნება, რომ ვინმეს სასჯელი გამოუტანოს, მაგრამ ვიმეორებ, ეს ერთი შეხედვით ჩანს ასე, ხოლო, თუ ღრმად დავუკვირდებით, მივხვდებით, რომ ყურადღების მისაქცევი ნამდვილად არის, რადგან საზოგადოებაში უკვე შეიმჩნევა ყველაფრისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება. იუმორი ძალიან კარგია, მაგრამ ყველაფერს იუმორისტული თვალით ნუ შევხედავთ.**

**დროა, გავთავისუფლდეთ თავსმოხვეული „ვანო ჯავახიშვილისა“ და „ნანუკა ჟორჟოლიანის“ ქირქილა და იაფფასიანი შოუებისგან. ხალხი დღევანდელისთვის ხვალ მოგთხოვთ პასუხს. მთავარია, ხვალ არ იყოს გვიან!..**

**როგორც ასეთ დროს ამბობენ ხოლმე: წამმზომი ჩართულია.**

**ნ. ი.**

## კაკალ გულში

## წკრიალოვანი ფრაზები

● **ატყდა ამბავი ოლიმპიადის არგონავტებით გახსნაზე, არიქათ! შამქორის ბრძოლით, ყუშიტაშვილით და გლდანის შაურმით არ გვიცნობს მსოფლიო და მიშათი გაეხსნათ?**




● **ექსკლუზივი – რუსთავი-2-დან ოლიმპიადის გახსნაზე 90-ზე მეტი ადამიანი კოლოებმა დაკბინეს!**

● **მოვითხოვ მარგველა შევიწყალოთ და ოლიმპიადის დახურვაზე გავუშვათ!!!**

● **გიორგი მარგველაშვილის მიმართ წამოწყებულმა გულისამრევმა ცილისწამების კამპანიამ ყოველგვარ უზნეობის ზღვარს გადააჭარბა, რაღაც მიშას დროს არ მახსენდება ვინმეს ამის მსგავსიც კი გაებედა.**

**ახლა უკვე მედია-მონებმა შეცვალა მედია-ზონდერები!!!**

● **ჰაკერებმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი გატეხეს, მათ ორი კალბასი და ხუთი ბოთლი არაყი გაიტაცეს!!!**

**გამოძიება ცხელ კვალზე მიმდინარეობს.**

● **– ბათუმში იყავი?**

**– კი!**

**– „სნუპ დოგი“ ნახე?**

**– კი!**

**– გარგო თუ განანა?**

● **იცით რა მიკვირს? ელგეტებე და ეგეთებზე არ ტეხავს საუბარი და კონსტიტუციურ მონარქიას თუ ვახსენებთ, როგორც თემას დისკუსიისთვის, ეს სახელმწიფო ღალატია?**

● **მომწონს და მიყვარს ბულატ ოკუჯავას სიმღერები და რუსეთუმე ვარ მაინცდამაინც?**

ამოკრიბა

**გია გაბრიჭიძემ**



# F 63.9 – მაგრამ თავად ღმერთი რომ სიყვარულია!..

**არა ბატონო, ლათინური ასო და არაბული ციფრული აბრევიატურა არ ნიშნავს აშშ-ის ძველი მოდელის ავია გამანადგურებელ F 16-ის ახალ მოდიფიკაციას. გამანადგურებლის, რომელიც ვიეტნამის ცაში საბჭოთა „მიგებთან“ ჭიდილში აშშ-ის ნაციონალურ ინტერესებს იცავდა და „დემოკრატიას ამყარებდა“ ვაშინგტონიდან ათასობით მილით დაშორებულ ამ აზიურ ქვეყანაში...**

უფრო მეტიც F 63.9 არც ზოგადად ინჟინერ-ტექნიკურ აზრთან არის რაიმე კავშირში.

მაშ რასთან გვაქვს საქმე?

როგორც იტყვიან, „დაგუგლეთ“ ეს აბრევიატურა და გაოცდებით...

**F 63.9 ამ ნომრით არის სიყვარული შეტანილი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯმო) ავადმყოფობათა რეესტრში!**

დიახ, არ მოგჩვენებიათ, გაეროს ეგიდით მოქმედ ჯმო-ს „ახალ აღმოჩენას“ **ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი** ჰქვია და ამიერიდან F 63.9 ამ ავადმყოფობის საერთაშორისო შიფრია, რომლის მიღმაც ვკითხულობთ:

სიყვარული განეკუთვნება ფსიქიკური გადახრების კატეგორიას ისევე, როგორც ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ტოქსიკომანია, აზარტული თამაშების მანია, კლეპტომანია.

ხოლო F 63.9 ავადმყოფობის სიმპტომებია:

სხვების მიმართ აკვიატებული აზრები; ხასიათის მკვეთრი ცვალებადობა; საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა; საკუთარი თავის სიბრალული; უძილობა; დაუფიქრებელი, იმპულსური ქცევები; არტერიული წნევის ცვალებადობა; თავის ტკივილები; ალერგიული რეაქციები; აკვიატებული იდეების სინდრომი!

თუმცა, იქვე გვამშვიდებს ჯმო – ფიზიოლოგიურ ფაქტორთა გამო სიყვარული დიდი, დიდი 4 წელიწადი გრძელდებაო?!

ვერაფერს დაუწუნებ, დიდი ნუგეშია...

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე გამოდის, რომ რუსთაველიდან დაწყებული, ვიდრე გალაკტიონით დამთავრებული ყველა პოეტი შიზოფრენიკი ყოფილა, 4 წელიწადი?

მართლაც დიდი ნუგეშია!..

ახლა ვითომდა რაო, თავშიც ქვა უხლიათ ჯმო-ში, მეტი სადარდებელი არაფერი გვაქვს ქართველებს? მას შემდეგ, რაც ამერიკაში ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების გამო აშშ გახდა მსოფლიო ლგბტ-სექტის აღიარებული ბელადი, რაღამ უნდა გაგვაკვირვოს, არა?

გაკვირვების რა მოგახსენოთ, მაგრამ, ჩვენი აზრით, ძაღლის თავიც აქ არის დამარხული. აქ, ჯმო-ს „ახალ აღმოჩენაში“, რადგან პარალელურად უნებლიეთ გახსენდება იგივე ჯმო-ს ძველი, 1992 წლის „აღმოჩენა“, რომლის ძალითაც მამათმავლობა, ჩვენებურად კი პედერასტობა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ავადმყოფობათა იმ რეესტრიდან ამოიღეს, სადაც ახლახან F 63.9 – სიყვარული შეიტანეს!..

როგორც ჯმო-ს „ძველი აღმოჩენის“ შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადჰყო, ძაღლის თავი იქ იყო დამარხული, რომ „აღმოჩენა“ გარკვეულ ქმედებებს უძღოდა წინ – სწორედ პედერასტობის ავადმყოფობათა რეესტრიდან ამოღების შემდეგ, 1992 წელს დაიწყო ლგბტ-სექტის ტრიუმფალური სვლა მთელი პლანეტის მასშტაბით და დღეს მივიღეთ ის, რაც მივიღეთ – ლამის მთლიანად გაპედერასტებული დასავლეთ ევროპა, პლუს, სამხრეთ ამერიკის მნიშვნელოვანი ნაწილი და აჰა, გუშინ მსოფლიო დემოკრატიის შუქურა და დღეს დემო(ტ)რაკიად ტრანსფორმირებული აშშ.

ჰოდა, დღეს უკვე თამამად შეიძლება, დედამიწას ცისფერი პლანეტა არა მხოლოდ კოსმოსიდან დანახული პანორამის გამო, არამედ მომრავლებული ერთსქესიანი ქორწინებებისა და გეი-აღლუმების გამოც ვუწოდოთ!

ეს, ისე, მცირე ლირიკული გადახვევა და ახლა ვნახოთ თუ სად შეიძლება ძაღლის თავის ძიება, ჯმო-ს „ახალ აღმოჩენასთან“ მიმართებაში?

როგორც დიდი კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა, „ბრძენთა ხმობა“ არ დაგვჭირდება!

ქალ-ვაჟის F 63. 9 სიყვარულის შეტანა ავადმყოფობათა რეესტრში მხოლოდ პირველი ნაბიჯია. თანაც ნაბიჯი გადადგმული ცოტა ხნის წინსწრებით, ვიდრე აშშ-ის ოფიციალურად გაპედერასტებამდე, 2015 წლის 26 ივნისის თეთრი სახლის ცისფერ პარასკევამდე, როდესაც აშშ-ის მთელი ტერიტორია უმაღლესი სასამართლოს ვერდიქტის ძალით ერთსქესიანი ქორწინებების მექად გამოცხადდა!

ჯმო-ს შემდეგი ნაბიჯები მისი ძველი და ახალი „აღმოჩენების“ ლოგიკიდან გამომდინარე და შესაბამისი საერთაშორისო შიფრკოდის მინიჭებით, უეჭველად **ოჯახის (მშობლების, და-ძმების, შვილების, წინაპრების და ა.შ.), მეგობრების, სამშობლოს სიყვარულის ავადმყოფობებად შერაცხვა იქნება და ბოლოს საქმე იქამდეც მივა, რომ რელიგიური აღმსარებლობა, ეკლესიაში სიარული, ღვთის მოშიშობა, ლოცვა, ზიარება და აღსარება, ანუ თავად ღმერთის სიყვარული გამოცხადდება შიზოფრენიის უკიდურესად მწვავე ფორმად, რადგან ღმერთი ხომ თავად სიყვარულია?..**

ათასწლეულების განმავლობაში დამკვიდრებული ზნეობრივი ნორმების გადახედვა და ეს რბილად ნათქვამია – გადახედვა კი არა, ყოველგვარი ზნეობის, მორალის, სინდის-ნამუსის უარყოფა, რაც პირდაპირი გზაა თვით ღმერთის, სამყაროს უზენაესი შემქმნელის უარყოფისკენ!

დიახ, ეს არის თანამედროვე ნეოლიბერალური, გნებავთ, ნეოტროცკისტული, სატანისტური იდეოლოგიის მთავარი მიზანი – გახრწნა-გადაგვარება ადამის მოდგმისა.

მიზნისა, რომლის განხორციელების გზაზე ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი მთავარი წინაღობა მართლმადიდებელი სარწმუნოება და მისი ეკლესიაა.

**ეკლესია, რომლის მთავარი ბურჯი, ციტადელი, მიუხედავად იმისა, ეს ვისმეს მოსწონს თუ არა, ქართველთა ერთმორწმუნე რუსეთია!**

ჰოდა, უახლოეს მომავალში საქართველომ საბედისწერო არჩევანი უნდა გააკეთოს:

**ან, ერთმორწმუნე რუსეთთან ერთად** (და არა საქართველო რუსეთში, ეს ურაპატრიოტთა გასაგონად) **ადამიანობის, კაცობის, ზნეობის შენარჩუნება, რაც ქართველობის შენარჩუნებასაც ნიშნავს.**

(აღარაფერს ვიტყვი სოხუმ-ცხინვალის შესახებ, რომელთა დაბრუნების გასაღები, თუ საერთოდ არსებობს ეს გასაღები, მხოლოდ რუსეთშია საძებნი. დიახ, აღარაფერს ვამბობ, რადგან ზემოთ თქმული აშკარა გადაგვარების საფრთხესთან შედარებით, თვით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც კი, პირადად ჩემთვის დღეს მეათეხარისხოვანია...)

**ან ე.წ. დასავლეთი, აშშ, ნატო, ევროპა, სადაც რეალურად არავინ გველის და ამიტომ აშშ-ის მითიური, ეფემერული სტრატეგიული მოკავშირის სტატუსით ლოდინი, ჯონ ქერის მუქარანარევი დანაპირების ასრულებისა, იმის შესახებ, რომ ერთსქესიან ქორწინებებს აშშ ყველა მოკავშირე ქვეყნებში დააკანონებს.**



**იცოცხლე გაგიხარია, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების ექსპორტში ჯონ ქერის უპირველესი სამიზნე, აშშ-ის „სტრატეგიული მოკავშირე“ საქართველო იქნება!**

მაშ, აირჩიე ქართველო ხალხო, სანამ არჩევანის დრო გაქვს, თორემ ხვალ არადანიც აღარ გექნება...

**დავით მხეიძე**

◉ პასუხად პასკვილანტს!

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

# უმეცარი მწერალი ყველა

## რუსი შოვინისტის ედუარდ ლიმონოვის ერთი „ისტორიული“ ნაბოდვარის გამო

**არა მგონია, არა მარტო ჩვენში, არამედ თვითონ რუსეთშიც მოიძებნოს ვინმე ისეთი ჭკუადამჯდარი მკითხველი, ვინც ტოლსტოისა და შოლოხოვის სამშობლოში მწერლად მიიჩნევს ლიმონოვის გვარით ცნობილ ამ კალმის ავად მწვალებელს და, ალბათ, სულაც არ გადავაჭარბებ, თუ პირდაპირ ვიტყვი, რასაც ამ წუთს ვფიქრობ: უთუოდ დიდ რუსულ ლიტერატურაში იგი პირდაპირ საგიჟეთიდან მოვარდნილსა ჰგავს და თავის აშკარა მწერლურ უნიჭობას შუმი დიდრუსული თუ დიდსლავური ნაციონალიზმით ანაზღაურებს.**

ამ ჩემი უცილოდ მართალი, მაგრამ, ცოტა არ იყოს, მწარე ნათქვამის დასტურად გამოდგება თუნდაც რუსულ **„ლიტერატურნაია გაზეტას“ 22-28 ივლისის (№30) ნომერში** გამოქვეყნებული **ამ კალამგირი ედუარდ ლიმონოვის** ინტერვიუ **—„უკრაინამ მადას უნდა მოუკლოს“,** რომლისთვისაც ისეთ სერიოზულ გაზეთს, როგორიც „ლიტერატურნაია გაზეტაა“, რუბრიკად წაუმძღვარებია — **„ავტორიტეტული აზრი“**. ეს მაშინ, როცა საქმე გვაქვს სრულ უაზრობასთან და, უფრო მეტიც, სრულ უმეცრებასთან, და **განა უაზრობა ან უმეცრება შეიძლება რომ ავტორიტეტული იყოს?!**

თავად უკრაინაში დაბადებული ეს ციტრუსოვანი გვარის კაცი (ისე, ცნობისათვის — შემქმნელი მამა ბენიამინ სავენკო ჰყავდა!) იქნებ უკრაინის ისტორიაში მეტ-ნაკლებად ერკვევა კიდეც, რაც ამ ვაიინტერვიუს მიხედვით მაინცადამაინც არ ჩანს, მაგრამ, რაც შეეხება საქართველოს ისტორიას, კერძოდ კი ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის საკითხს („აფხაზეთზე აღარაფერს არ ვამბობ!), აქ, როგორც ჩანს, რუსეთში ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ეგრეთ წოდებული ელჩის ვინმე დ. მედოევის „ისტორიული ნაცოდვილარით“ ხელმძღვანელობს, რომელ ნაცოდვილარზეც ამას წინათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ვწერდით, როგორც ბოროტ პოლიტიკურ დემაგოგიაზე (15.V.2015 წ.).

სწორედ რომ ბოროტი პოლიტიკური დემაგოგიის გზას ადგას ეს ვითომ მწერალი ლიმონივიც, რომლის დიდრუსული თუ დიდსლავური ნაციონალიზმი აშკარა პრეტენზიას აცხადებს ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროინდელი საზღვრების ჩარჩოებში მოქცეულ იმპერიაზე (ამ ავ და უზნეო კაცს ცოტა რომ არ ყოფნის, ალბათ, ის ერთი მრავლისმთქმელი დეტალიც მეტყველებს, რომ ამ ექვსცოლგამოცვლილ ავანტიურისტ პასკვილანტს ერთ-ერთ ცოლად, უკვე 55 წლისას, 15 წლის სკოლის მოწაფე ჰყავდა! ამას კი მოგეხსენებათ, არამარტო ჩვენებურად პედოფილია ჰქვია!).

ასე რომ, ედიჩკა (შენს პირველ წიგნს, მგონი, ასე ერქვა „მე ედიჩკა ვარ!“) უკრაინის მადისას ვერ გეტყვი, არ ვიცი, მაგრამ შენს საეჭვო სექსუალურ და პოლიტიკურ მადას რომ ნამდვილად უნდა მოუკლო, ეს აშკარაა!

მართალია, უტყუარ ისტორიასთან კარგა გვარიანად მწყრალად ხარ (უფრო სწორად, ძალზე მცდარი და მავნე პრინციპი გაქვს ასეთი!), მაგრამ ის მაინც უნდა იცოდე, რომ შენისთანა რუსებისგან განსხვავებით, საქართველო ყოველთვის კარგ რუსებს უყვარდათ, და საქართველოსაც, ისევ შენისთანა რუსთაგან განსხვავებით, ყოველთვის კარგი რუსები უყვარდა, რომელთა დიდი შემოქმედებისთვის საქართველო მუდამ მადლიანი სასტარტო მოედანო იყო (ესეც ერთი დიდი რუსი კაცის სიტყვებია!).


АВТОРИТЕТНОЕ МНЕНИЕ

Украине надо умерить аппети

დაბოლოს, ვინაიდან მე ჟურნალისტი ვარ და არა ისტორიკოსი, შენ ყოვლად მცდარ და მავნებლურ ისტორიულობაზე პრეტენზიის მქონე ინტერვიუზე აზრის გამოთქმა (ამ შემთხვევაში მართლაც ავტორიტეტული და კომპეტენტური!) გამოთქმა ვთხოვე ჩვენს დიდად სახელხმიან და, შენგან და შენისთანა შოვინისტ-ნაციონალისტებისგან განსხვავებით, ჩვენი ერების ისტორიაში ღრმად და მიუკერძოებლად ჩახედულ მეცნიერს, ჩვენი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, **აკადემიკოს როინ მეტრეველს.**

აქვე ისიც უნდა გითხრა, ედიჩკა შოვინისტო, რომ საქართველოში პატივს მიაგებენ როგორც თვითონ „ლიტერატურნაია გაზეტას“, რომელიც სულაც არ არის დაკავებული ჩვენი ხალხების ურთიერთსიძულვილისა და ურთიერთგადაკიდების პოლიტიკით, ისე გაზეთის რედაქტორს, მართლაც ისტორიული სიმართლის პატივისმცემელ ღირსეულ მწერალს იური პოლიაკოვს, რომელიც, ალბათ, საჭიროდ მიიჩნევს ამ ჩვენი ფრიად საჭირბოროტო პუბლიკაციის გადაბეჭდვას „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე, რადგან ისტორიულ სიმართლეს რაც მეტი წესიერი ადამიანი გაიგებს, ჩვენი ერთი სულმნათი წინაპრის თქმის არ იყოს, ბოროტს მით უფრო ადვილად სძლევს სიკეთე თავისი გრძელი არსებით.

**მაშ, მოუსმინე, ხალხთმოძულე ეშმაკზე გადამჯდარო, ამ ცოდვილ დედამიწაზე ავკაცობის ყოზე-ყორეს მოდებულო ედიჩკა, აკადემიკოს როინ მეტრეველს და, მართალი გითხრა, იმედი არა მაქვს, მაგრამ იქნებ ნაღრძობი ტვინი ცოტა გაგიწაღმართდეს და მცირედ მაინც ჩახვდე, რომ ისტორია სულაც ათასგვარი სისულელის უნამუსოდ მეტყველი პირის ჩასამჟაუნებელი ლიმონი არ გახლავს.**

**გურამ გოგიაშვილი**

---

მწერალი ედუარდ ლიმონოვი საკმაო ხანია გამოირჩევა თავისი „ორიგინალური“ დამოკიდებულებით ზოგადად მსოფლიოში და, კერძოდ, საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესებისადმი. ამიტომ მაინცდამაინც არ გამჭირვებია უკრაინაში მიმდინარე მისეული „შეფასებები“. თანაც ის თავდაჯერებით აცხადებს, რომ „Я знаю, о чем я говорю, поскольку провел детство и юность на Украине, и знаю, как там устроено“. მწერალი გაკვირვებულია, თუ რატომ უნდა უკრაინის ხელისუფლებას შეინარჩუნოს ტერიტორია, რომელიც მან მიიღო საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ („Захватив добро, которое им не принадлежало“). უკრაინას, ე.ლიმონოვის მტკიცებით, მხოლოდ კიევის ირგვლივ განთავსებული 9 ოლქი ეკუთვნის, დანარჩენი რუსული, უნგრული, სლოვაკური კოლონიებია... აქ კომენტარზე თავს შევიკავებთ. უკრაინასთან დაკავშირებით არც სხვა ოდიოზურ მოსაზრებებს განვიხილავთ.



ე.ლიმონოვი თავის ინტერვიუში მკითხველს სთავაზობს ექსკურსს საქართველოს ისტორიაში. ამას ვერ დავარქმევთ რუსი მწერლის ვერც ორიგინალურობასა და ვერც ახირებულობას. ეს უვიცობაა, რომელიც თავხედობითაა გაჯერებული. თავხედობა, რომელშიც ქვეყნის (ამ შემთხვევაში საქართველოს) და ერის (ქართველების) უპატივცემლობაა გამოხატული. მწერალი ხმამაღლა აცხადებს: „Грузия пришла в Россию в 1783 году по Георгиевскому договору. Картли-Кахетинское царство (восточная Грузия) вошло под протекторат России“. ამის შემდეგ ე.ლიმონოვი აგდებულად ამბობს: „Что это было за царство? Такое было маленькое, маленькое...“ ფაქტია, რომ მწერალს არ ესმის გეორგიევსკის ტრაქტატის აზრი და მისი მნიშვნელობა. არც ხელშეკრულების ობიექტებზე აქვს რეალური წარმოდგენა.

რეალობა კი ასეთია. ერეკლე II-მ, როცა მიმართა რუსეთის იმპერატორს ეკატერინე II-ს მფარველობის შესახებ, მას მხედველობაში ჰქონდა, რომ მის სამეფოს დაიცავდა რუსეთი ირან-ოსმალეთის მოსალოდნელი აგრესიისაგან; რომ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ერეკლე II-ის მემკვიდრეები უნდა დარჩენილიყვნენ (უპირობოდ); საქართველოს ეკლესიის სათავეში ყოველთვის ქართველი კათალიკოსი უნდა ყოფილიყო; რუსეთს ეზრუნა თურქეთისაგან მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნებაზე. რუსეთის მხარე გაეცნო რა ქართლ-კახეთის მეფის მოთხოვნებს, დათანხმდა; შემუშავებულ იქნა ქართლ-კახეთის სამეფოსთან დასადები შეთანხმების პროექტი და გადმოუგზავნა ერეკლე II-ს.

შეთანხმების პროექტის საგანგებოდ შესწავლის შემდეგ გაიმართა მოლაპარაკება რუსულ ციხესიმაგრე გეორგიევსკში (ახლანდელი სტავროპოლის მხარე). საკმაოდ დეტალური განხილვის შემდეგ (ხელშეკრულების მუხლობრივი განხილვა 6 დღე მიმდინარეობდა) 1783 წლის 24 ივლისს საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება ე.წ. „გეორგიევსკის ტრაქტატი“. ტრაქტატს რუსეთის მხრიდან ხელი მოაწერა ოფიციალურმა წარ-

პასუხად პასკვილანტს!

# გადამდებ დაავადებაზე უარესია!

მომადგენელმა „კავკასიის ხაზის“ სარდალმა პავლე პოტიომკინმა, ქართლ-კახეთის მხრიდან ერეკლე II-ის სიძემ — მისი ქალიშვილის ქეთევანის მეუღლემ ივანე მუხრანბატონმა და ერეკლე II-ის გენერალ-ადიუტანტმა, ყაზახის პროვინციის მმართველმა გარსევან ჭავჭავაძემ (პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის მამა).

საჭიროდ მიგვაჩნია, ყურადღება გავამახვილოთ „ტრაქტატის“ ცალკეულ მხარეებზე. იგი შედგება პრეამბულისაგან, 13 ძირითადი და 4 საიდუმლო (სეპარატული) მუხლისგან. როგორი იყო ოფიციალურად მიღებული რუსეთის ვალდებულებები ქართლ-კახეთის სამეფოს წინაშე.

რუსეთის იმპერატორი პირობას დებდა, რომ მფარველობას გაუწევდა ქართლ-კახეთის სამეფოს; გარანტიას იძლეოდა, რომ ერეკლე II-ის და მის მემკვიდრეებს შეუნარჩუნებდა სამეფო ტახტს და სამფლობელოებს; არ ჩაერეოდა ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო საქმეებში და აუკრძალავდა თავის სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლებს საქართველოში რაიმე განკარგულების გაცემას; ქართლ-კახეთის კათოლიკოსი გახდებოდა რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრი; ქართველი თავადი ან აზნაური თუ რუსეთში გადასახლდებოდა, რუს თავადსა და აზნაურს უთანასწორდებოდა; ქართველ ვაჭრებს რუსეთში თავისუფალი ვაჭრობის უფლება ეძლეოდათ.

გეორგიევსკის ტრაქტატის საიდუმლო მუხლებით რუსეთის იმპერატორი კისრულობდა ვალდებულებას — ქართლ-კახეთის სამეფოში ეყოლებოდა 2 ქვეითი ბატალიონი 4 ზარბაზნით; ომის შემთხვევაში ყოველმხრივ შეეცდებოდა (ზავის დადებისას ყოველ ღონეს იხმარდა) დაებრუნებინა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის მტრების მიერ გატაცებული მიწები.

1784 წლის 24 იანვარს ერეკლე II-მ შეასრულა „გეორგიევსკის ტრაქტატის“ რატიფიცირების ცერემონიალი — ხელი მოაწერა შეთანხმებას.

სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლებამ უხეშად დაარღვია ხელშეკრულება — არათუ მფარველობდა საქართველოს, არამედ სამეფოს დასუსტებას უწყობდა ხელს. რუსეთის იმპერატორებს ეკატერინე II-ს (1762-1796 წ.წ.), პავლე I-ის (1796-1801 წ.წ.) და ალექსანდრე I-ის (1801-1825 წ.წ.) საერთოდ არ უფიქრიათ ტრაქტატის შესრულებაზე. 1801 წელს რუსეთის მთავრობამ საქართველოს პრაქტიკული ანექსია მოახდინა — დამოუკიდებლობა წაართვა ქვეყანას. ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით საბოლოოდ გაფორმდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება.

ყოველივე ამაზე ხაზგასმით იმიტომ შევჩერდით, რომ ისე არ არის საქმე, როგორც ეს ე.ლიმონოვს მიაჩნია და მარტივად წარმოადგენს: „Картли-Кахетинское царство (восточная Грузия) пришла в Россию“. სამწუხაროდ, ამ, საქართველოს ისტორიაში ჩაუხედავ მწერალს, ზოგიერთი სხვაცა ჰყავს მხარის ამბმელი. აქ მარტო უცოდინრობასთან არა გვაქვს საქმე — **ქართველი ერის მიმართ დაუფარავი სიძულვილის გამოხატვაა**. კიდევ უფრო არაკეთილგანწყობით, ქილიკითაა ნათქვამი: „Что это было за царство? такое было маленькое, маленькое...“ ალბათ, ზედმეტია სერიოზულად პასუხის გაცემა ამ ქვენა გრძნობებით განპირობებულ ფრაზაზე. მაინც მინდა მკითხველს მივაწოდო ზოგიერთი ქრესტომათიული ცნობა ქართლ-კახეთის სამეფოს თაობაზე. ქართლ-კახეთი 1862 წელს გაერთიანდა. აქედან მოკიდებული სახელმწიფო აღმავლობის გზას დაადგა. მეფის ხელისუფლება ენერგიულ ღონისძიებებს ატარებდა. მიმდინარეოდა ქვემო ქართლის ფართოდ დასახლება; აიკრძალა გლეხის უმიწოდ გაყიდვა, აღდგა კანონი საკუთრების ქალაქური წესის შესახებ. 60-70-იან წლებში დაიწყო ვერცხლისა და სპილენძის მოპოვება-დამუშავება. თბილისში გაიხსნა ზარაფხანა; თოფზარბაზნების საწარმო, სტამბა და მინის, მარილის, საპნის საწარმოები. ამუშავდა კერძო საწარმოები: ზეთსახდელი, თამბაქოს, თიხის ჭურჭლის, აგურის, თოფის წამლის ქარხნები, სამღებროები და სხვ. გაჩნდა ახალი ქალაქები: ანანური, დუშეთი, სიღნაღი; გაიხსნა დარიალის გზა. ერეკლე II ყოველმხრივ ცდილობდა საქართველო განვითარების მოწინავე ევროპულ გზაზე გაეყვანა. ერთი სიტყვით, ქართლ-კახეთი წინა აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული იყო, მისი მეფე ერეკლე II კი აღიარებული პოლიტიკური მოღვაწე.



ე.ლიმონოვი „წუხს“, რომ საქართველომ ვერ შეინარჩუნა აფხაზეთი: „Там ведь совсем другие люди и другие языки. Те же абхазы – это адыги, другая национально-языковая группа. Ничего общего с грузинами не имеют. Все эти претензии, что это наше, – не больше, чем претензии“.

სიმართლე გითხრათ, ე.ლიმონოვი რამდენიმეჯერ ტელევიზიით მყავს ნანახი. გულწრფელად ვიტყვი, მან ჩემზე თავისი ქმედებით და „პოლიტიკური“ გამონათქვამებით ოდიოზური პიროვნების შთაბეჭდილება დატოვა. მას შემდეგ, რაც მის ინტერესებს გავეცანი „ლიტერატურნაია გაზეტაში“, მრჩება შთაბეჭდილება, რომ იგი ელემენტარული ბრიყვია. ასე პრიმიტიულად მიდგომა სერიოზული საკითხებისადმი და „დასკვნების“ შემოთავაზება (მხედველობაში მაქვს მისი „პარადიგმა“ აფხაზების შესახებ) ყოველგვარ ეთიკურ ჩარჩოებს სცილდება. იძულებული ვარ აქაც შევახსენო რუს მწერალს, რომ ტერიტორიები, აფხაზებსა და ოსებს რომ უჭირავთ, ქართულია. ეს საკითხი ისტორიოგრაფიაში კარგადაა გამოკვლეული და მე აღარ შევჩერდები. შევთავაზებ კი ე.ლიმონოვს, რომ გაეცნოს აფხაზური ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას სიტყვებს: „Абхазия, которая всегда была неотьемлемой частью Грузии, жила с нею на протяжении всей истории, одной жизнью, органически учавствовала в создании грузинской культуры и государственности, и играла сушественную роль в борьбе за свободу и независимость страны, в борьбе за обьединение отдельных грузинских племен и областей в единое мощное национальное грузинское государство“ (Д. Гулия, „О Моей книге „История Абхазии“). არა მგონია ე.ლიმონოვს დ.გულიაზე მეტად უყვარდეს აფხაზეთი და აფხაზები; რაც შეეხება მის ცოდნა-განათლებას, ვერ ვაკადრებ დიდ დიმიტრი გულიას მასთან შედარებას.

ნიშანდობლივია, რომ აფხაზი მკვლევარი, პროფესორი ზურაბ ანჩაბაძე თავის მონოგრაფიაში „Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.) და ქართული ენციკლოპედიისთვის დაწერილ განმაზოგადებელ სტატიებში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „აფხაზთა სამეფო“ „ერთ-ერთი ადრინდელი ფეოდალური ქართული სახელმწიფოა“ (ქსე, ტ. II, სტატია „აფხაზთა სამეფო“). ამ თვალსაზრისით, სხვა აფხაზი ავტორების დასახელებაც შეიძლება. შეგნებულად არ მოგვყავს ქართველ მეცნიერთა მოსაზრებები, რომელთაც არა ერთი გამოკვლევა მიუძღვნეს აფხაზეთის ისტორიას. ხაზს ვუსვამთ, რომ ამ დროს საურთიერთობო ენა საკუთრივ აფხაზეთში ქართული იყო. ქართულ ენაზე მიმდინარეობდა საკანცელარიო საქმიანობა, წირვა-ლოცვა. ერთი სიტყვით, ქვეყნის ყველა კუთხის (ცხადია, აფხაზეთისაც) სახელმწიფო ენა ქართული იყო.

კიდევ ერთი კურიოზული შეკითხვა ისტორიაში ჩაუხედავი მწერლის ე.ლიმონოვისა: „А Южная Осетия... Какая это вообще Грузия?... ეს ხომ საერთოდ უვიცი კაცის შეკითხვაა. აქაც, ალბათ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. მაგრამ ჩვენ ვითვალისწინებთ „ლიტერატურნაია გაზეტას“ დიდ ტირაჟს, მაინც შევეცდებით მოკლე პასუხი წარმოვადგინოთ.

ოსები ჩრდილო კავკასიაში გარკვეული საუკუნეების წინათ დასახლდნენ სკვითურ-სარმატულ ტომებთან ერთად (ოსური ენა განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ენათა ჯგუფს). X-XII საუკუნეებში ოსეთის სამეფოს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან (XI-XII სს. ოსეთი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო). XVII-XVIII საუკუნეებში ოსები საქართველოს მთისწინა და ბარის ზოლში ჩამოდიან და სახლდებიან. ქართლში დამკვიდრებული ოსები არაგვისა და ქსნის ერისთავებისა და მაჩაბლების სამფლობელოში მოხვდნენ. ნიშანდობლივია, რომ ოსები ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ მომხდური მტრის წინააღმდეგ. სამხრეთ ოსეთის ისტორია ობიექტურადაა წარმოდგენილი ოსი ისტორიკოსების: ბ.ფლიევის, ო. თედეევას, გ. თოგოშვილის, ზ. გაგლოითის, პ. დოგუზოვისა და სხვ. შრომებში. გამოჩენილი ოსი მეცნიერი ვასილ აბაევი წერს: „Главный Кавказсий хребет – естественная граница между Грузией и Осетией, а всякая попытка размыть эту границу повлечет за собой состаяние перманентого конфликта между грузинами и осетинами... надо прежде всего покончить с разговорами об отторжении Южной Осетии от Грузии. Ни одно грузинское правительство с этом никогда не согласится и будет право потому, что это будет означать нарушение территориальной целостности Грузии.

Кто хочет мира между южными осетинами и грузинами, должен навсегда отвергнуть идею присоединения Южной Осетии и Северной. Кто хочет мира между Грузией и Россий, также должен оставить эту идею. Такова реальность (“Независимая газета“, 1992 г., 22.01. №13). ასეთია ოსი პატრიოტის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მოსაზრება. ვფიქრობ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

მიმაჩნია, რომ გაზეთმა „ლიტერატურნაია გაზეტამ“ ამგვარი ინტერვიუები საგანგებო განხილვის გარეშე არ უნდა დაბეჭდოს. საქმე აქ მარტო ისტორიის ან ისტორიული გეოგრაფიის ან კიდევ სხვა რიგით საკითხს კი არ ეხება, არამედ ერის რეალური ისტორიის დამახინჯებას, გაყალბებას. ვფიქრობ, ე.ლიმონოვის მსგავს პრიმატიულ (მისი თემაც „Украине надо умерить аппетиты“ თავისი შინაარსით უტაქტოა), ანტიმეცნიერულ, სიძულვილის შემცველი აზრების ტირაჟირებას გზა უნდა დაეხშოს.



**რონ მეტრეველი,**
**აკადემიკოსი.**

**P. S. ვფიქრობ, იქნებ არ იყო საჭირო გამოხმაურება ამ უგვანო ინტერვიუზე, მის ავტორზე ე. ლიმონოვზე, მაგრამ გადამაწყვეტინა პოეტის მაქსიმამ:**
**„უსირცხვილოს თუ არ არცხვენ,**
**ბაძით მორცხვიც გაურცხვდების“**

**რ. მ.**

# ოპერაცია „ტერმინალი“

დასასრული. დასაწყისი იხ. № 139



## რას მიირთმევდნენ

**საკვები კონფერენციის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო. ბერია იტყობინებოდა, რომ ამხანაგ სტალინისა და დელეგაციის მნიშვნელოვანი წევრების საკვების დასამზადებლად პოტსდამიდან შვიდ კილომეტრში მოწყობილია სპეციალური მესაქონლეობისა და მეფრინველეობის ფერმები, აგრეთვე ბოსტნეულის მეურნეობა. გახსნილია სპეციალური საცხობები. მთელი პერსონალი — მოსკოვიდანაა.**

ბელადის ვილაში — სურსათის, დელიკატესების, სასმელების სამდღიანი მარაგია.

ტრუმენისა და ჩერჩილისათვის მინერალური წყალი, ახალი პროდუქტები, დელიკატესები, ღვინო, შამპანური, ყველა ხარისხის ალკოჰოლი, ლუდიც კი ყოველდღე ჩამოჰქონდათ თვითმფრინავებით პარიზიდან და ლონდონიდან ლეიბ-მზარეულების მიერ შედგენილი სიის მიხედვით. თუმცა ჩერჩილის სია იყო უფრო თავმდაბლური, ვიდრე კოლეგისა.

არა მხოლოდ სხდომათა მაგიდაზე, არამედ სასადილო მაგიდაზეც „დიდ სამეულს“ შორის მიდიოდა კულინარული შეჯიბრება. ტონი უკვე 19 ივლისს ტრუმენმა მისცა. 1937 წლის რეინის ელიტური„ბორდო“, შამპანიური Pommery 1934 წლისა, არაყი, პორტვეინი, განსაკუთრებით ძველი კონიაკი და ა.შ.

სტალინმა 21 ივლისს უპასუხა. აი, როგორ ჩაიწერა ტრუმენმა: **„თავდაპირველად ხიზილალა, არაყი, კონიაკი. ბოლოს ნესვი შამპანურთან ერთად. შუალედ პერიოდში შებოლილი თევზი, ცოცხალი, გარეული ფრინველი, ქათამი, იხვი, ხილის ყოველნაირი სახეობა. ყოველ ხუთ წუთში — სადღეგრძელო. დავითვალე სულ ცოტა 25“.**

სსრ კავშირიდან მოიწვიეს ორი პიანისტი და ორი მევიოლინე. ქალბატონები ტრუმენს არ მოეწონა: მსუქნები არიანო.

ეტყობა, უკვე გაღიზიანებულმა, ჩერჩილმა გადაწყვიტა იმ საღამოს თავის მიღებაზე 23 ივლისს გამოეწერა სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების კაპელა.

და გამოიწერა. პრემიერი სტუმრებს კუს წვნიანით, ზღვის ცხოველების შემწვარი ენით და თავისი საყვარელი კერძით — ინგლისური შაშხით უმასპინძლდებოდა. უნიფორმის მოყვარული, ის, შესაძლებლობისდა შესაბამისად, სიიდან შლიდა მოწვეულ შტატის მუშაკებს...

შუაღამის შემდეგ ორკესტრითა და კონიაკით მოთენთილმა ჩერჩილმა სტალინს დიდი უწოდა. ორკესტრმა სამი ჰიმნი დააგრიალა.

ბრიტანელმა ლიდერმა უკვე იცოდა, რომ აგებდა პარლამენტის არჩევნებს.

ერთი დღის შემდეგ ის გაემგზავრა, რათა შეეტანა თხოვნა გადადგომის შესახებ.

## სიმპათიები და ანტიპათიები

**პრინციპულად სტალინმა შეძლო პარტნიორებისათვის თავს მოეხვია არა მხოლოდ მისთვის ჩვეული ცხოვრების რიტმი — ღამისა. მაგალითად, მან ერთხელ ჩერჩილთან ვახშამი 20-30 წუთზე დაიწყო და 1.30 წუთზე დაამთავრა. საერთოდ, იშვიათად თუ დამთავრებულა რომელიმე შეხვედრა ღამის პირველ საათამდე. ამიტომ ცეცილიენჰოფში გვიან დილით თათბირობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრები და ექსპერტები, და მხოლოდ სადილის შემდეგ უერთდებოდნენ მათ დელეგაციების მეთაურები. და ყოველთვისაც ვერა. მთავარი სამუშაო დრო — საღამოა, გვიანი საღამო. მაგალითად, 28 ივლისს პლენარული სხდომა, რომელშიც დიდი ბრიტანეთის ახალი პრემიერ-მინისტრი კლემენტ ეტლი მონაწილეობდა, 22.30 წუთზე დაიწყო.**

ჩერჩილის გამგზავრების შემდეგ „დიდი სამეული“ „დიდ ორეულად“ გადაიქცა. ტრუმენი შეხვდა ეტლის თავის რეზიდენციაში და შემდეგ არასოდეს მოუწყვია მასთან ერთად ერთობლივი თათბირები, არ თხოვდა მას არც რჩევებს, არც თანხმობას არც ერთ საკითხზე. რომ არაფერი ვთქვათ სტალინზე. მას არ ეხალისებოდა ამ ულიმღამო პიროვნებასთან შეხვედრა. შემდგომ ჩერჩილი წერდა, რომ სტალინს მოსწონდა მათი სიტყვიერი შეხლა-შემოხლა. ტრუმენი კი იყო უფრო ცივი და ეჭირა დისტანცია საბჭოთა ბელადთან დაკავშირებით.

რეპარაციების შესახებ მტკივნეული საკითხის განხილვის დროს უკანასკნელი წერტილი დაუსვეს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის ბევინის მონაწილეობის გარეშე.

2 აგვისტოს ღამით კონფერენციის თავმჯდომარემ ჰარი ტრუმენმა (რომელიც, სხვათა შორის, ამ როლზე სტალინმა შესთავაზა პირველსავე სხდომაზე) გამოაცხადა, რომ „ბერლინის კონფერენცია დაიხურა და ყველას უსურვა: **„... ახალ შეხვედრამდე, იმედი მაქვს, ვაშინგტონში“. „თუ ღმერთმა ინება“,** — გაიცინა ათეისტმა სტალინმა.

## კომენტარის მაგივრად

**ჯერ კიდევ ბევრი რამაა უცნობი პოტსდამის (ბერლინის) კონფერენციის შესახებ. წინ მიდევს 1945 წლის 11 აგვისტოს ერთობლივი ბრძანება №8, რომელსაც ხელს აწერენ გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის სამხედრო ცნობათა უფროსი ა.ჩერნიაკოვი და საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის ტრანსპორტის განყოფილების უფრო ი.კვაშინი. ბრძანება შეეხება საბჭოთა ზონაში სარკინიგზო მომსახურების გერმანელი რკინიგზელებისათვის გადაცემას. პუნქტ 2-ში ნათქვამია, რომ პოტსდამი-ფრანკფურტის (ოდერი) მონაკვეთი რჩება საბჭოთა ადმინისტრაციის განკარგულებაში ლიანდაგის 1435 მილიმეტრის სიგანემდე გადაყვანამდე. ეს ნიშნავს, რომ პოტსდამამდე მიდიოდა ფართო ლიანდი (1520 მილიმეტრი), რომელზეც ბორბლების წყვილების შეუცვლელად შეიძლებოდა გაევლო სტალინის ლიტერულ მატარებელს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფართო ლიანდი გაიყვანეს პოლონეთშიც თითქმის 600 კილომეტრის მანძილზე? ალბათ. წინააღმდეგ შემთხვევაში უზარმაზარი ოდენობის სამხედრო ტვირთი პოლონეთისა და გერმანიის გათავისუფლების შემდეგ შეიძლებოდა სერიოზული პრობლემები ყოფილიყო. თუ ეს ასეა, ეს საბჭოთა სამხედრო რკინიგზელების ნამდვილი გმირობაა.**



და, ბოლოს, „პოტსდამის კონფერენციის რეალური მნიშვნელობის შესახებ, რომელმაც, როგორც მრავალი არც თუ უსაფუძვლოდ მიიჩნევს, ბევრი არაფერი გადაუწყვეტია, არამედ მხოლოდ ომისშემდგომი სტატუს-კვო დააფიქსირა. ერთი მხრივ, ეს, თითქოსდა ახლა, მაგრამ არის სიღრმისეული საფუძველი, რომელიც საშუალებას გვაძლევს — შევხედოთ მის შედეგებს სხვა თვალსაზრისით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროს „სტალინის ვილაზე“ კარლ მარქსის ქუჩაზე ეკიდა მემორიალური დაფა, რომელზეც, ამოკვეთილი იყო სტალინის სახელგანთქმული სიტყვები 1942 წლის 23 თებერვლის განცხადებიდან: **„ჰიტლერები მოდიან და მიდიან, გერმანელი ხალხი, გერმანული სახელმწიფო კი რჩება“.**

როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა გვქონდეს ხალხთა ბელადთან, ის, ამერიკელებისაგან განსხვავებით, ყოველთვის იცავდა ამ ხაზს. ჯერ კიდევ მანამდეც, სანამ ცნობილი გახდებოდა ნაცისტების ყველა მხეცობა, ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე არსებობდა და აქტიურად განიხილებოდა გერმანელთა სახელმწიფოს დაყოფისა და განადგურების ოთხი გეგმა. ფრანკლინ რუზველტი გვთავაზობდა, გაეყოთ გერმანია ხუთ ცალკე წარმონაქმნად: ბავარიად, საქსონიად, პრუსიად, ჰანოვერად და ჰესენად. ამას პლუს ეგრეთ წოდებული საერთაშორისო ზონა. ამგვარი გეგმა შემოგვთავაზა პრეზიდენტის თანაშემწემ სამნერ უელსმაც — სამი ერთმანეთთან კავშირში არ მყოფი წარმონაქმნი, თანაც ბერლინი და დრეზდენი უნდა შესულიყვნენ რაღაც სახელმწიფო მეკლენბურგში.

ფინანსთა მინისტრ ჰენრი მორგენტაუს მიაჩნდა, რომ სახელმწიფო უნდა იყოს მხოლოდ ორი: ჩრდილოეთი გერმანიისა და სამხრეთი გერმანიისა, დასავლეთში —„საერთაშორისო ზონა“, ლუქსემბურგის სათავადო რატომღაც უნდა გრძელდებოდეს ლამის კობლენცამდე.

და კიდევ ერთი გეგმა კიდევ ერთი მრჩევლისა, კერძოდ — თეოდორ კაუფმანისა. ის ვარაუდობდა, რომ გერმანია არ უნდა არსებობდეს საერთოდ. ჰოლანდია იზრდება ელბამდე და პოლონეთის საზღვრამდე, რომელთანაც გადადის ბერლინი და როსტოკი. საფრანგეთი იზრდება ჩეხეთის საზღვრამდე, თავად ჩეხეთი კი ნთქავს დრეზდენსა და ლეიფციგს. ბელგიას უერთდება კიოლნი შემოგარენით.

აი, როგორ უცნაურად განკარგავს ისტორია. უამრავი გეგმა, განხილვა და, თითქოსდა, გრანდიოზული გადაწყვეტილებები მსოფლიოს შეცვლის შესახებ. მშრალად კი რჩება „ტირანის“ რამდენიმე სიტყვა, რომლებიც დაიბეჭდა „პრავდაში“ და ამოკვეთილი იყო თარგმანში დღეს უკვე არარსებულ მემორიალურ დაფაზე.

**ალექსეი სლავინი.**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**ოლანდმა განაცხადა, რომ რუსეთისათვის შვეულმფრენმზიდ „მისტრალის“ მიწოდების საკითხი „უახლოეს კვირებში“ გადაწყდება**

რა ელის ხელშეკრულებას, რომელიც 2011 წელს დაიდო მოსკოვსა და პარიზს შორის, სახელმწიფოს მეთაურმა არ დაადასტურა. ამ ცოტა ხნის წინათ იტყობინებოდნენ, რომ რუსეთის ფედერაციაში დაიწყეს სპეციალისტების ჯგუფის მომზადება, რომელიც ჩავა საფრანგეთში შვეულმფრენმზიდის დემონტაჟისთვის. მასზე არის კავშირგაბმულობისა და მართვის მოწყობილობა, რომელიც მიწოდებულია რუსეთის მხრიდან.

**შვედეთის სანაპიროზე ჩაძირული წყალქვეშა ნავი აღმოაჩინეს, რომელიც 100 წლის წინათ დაკარგულ რუსულ სუბმარინა „ლოქოს“ ჰგავს**

ნავის კორპუსზე კირილიცას დამწერლობაა. დაივერების სიტყვებით, ხომალდის სიგრძე დაახლოებით 20 მეტრია, სიგანე კი დაახლოებით 3,5 მეტრი. ეს გაბარიტი დაახლოებით შეესაბამება „ლოქოს“ გაბარიტებს – 19,3 და 3,6 მეტრი.

**ჰონკონგში ცხოვრობს მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული პანდა – ივლისში დედალ ცხოველს, ზედმეტსახელად ცზია ცზიას 37 წელი შეუსრულდა**

ადამიანური საზომით ცზია ცზიამ უკვე გადააჭარბა 100 წელს. უკანასკნელი 16 წლის განმავლობაში იგი ჰონკონგში ცხოვრობს, თუმცა, კონტინენტალურ ჩინეთში დაიბადა. სამშაბათს პანდა-რეკორდსმენი ოფიციალურად შეიყვანეს გინესის რეკორდების წიგნში.



**აშშ-ში მსუბუქმოტორიანი თვითმფრინავის ჩამოვარდნის დროს 4 კაცი დაიღუპა**

ადგილობრივი ხელისუფლების მონაცემებით, ყველა მსხვერპლი საჰაერო ხომალდის ბორტზე იმყოფებოდა, რომელიც ველად ჩამოვარდა. გადარჩენილები არ არიან. თუ რა გახდა ავარიის მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია, ინციდენტის ადგილზე ჩავიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ავიაციის ფედერალური სამმართველოს თანამშრომლები.

**ლონდონის მერი ველოსიპედით ცოლის არალეგალურ გადაყვანაში ამხილეს**

სამმა ახალგაზრდამ დაინახა, თუ ლონდონის ქალაქის ხელმძღვანელი ბორის ჯონსონი როგორ მიდიოდა ველოსიპედით სახლში და თან მიჰყავდა თავისი მეუღლეც. დიდ ბრიტანეთში საგზაო მოძრაობის კანონის 24-ე განყოფილების თანახმად, რომელიც 1998 წელსაა მიღებული, 2 ადამიანი არ შეიძლება გადაადგილდებოდეს ერთი ველოსიპედით.



## ◎ ლექსი – გულის ხმა

# ციკლიდან – „წუთისოფლის სტუმარი ვარ!..“

### თუ საქართველო შენი ხატია

ყოველ ცისმარე დილის საარზე,
შენს უნებურად თუ ამღერდები,
ანუ თუ გული ტრფობით გაქვს სავსე,
მაშინ არასდროს არ დაბერდები.

თუ ოცნებებით მოგიხატია,
ყინწვისები და ალავერდები,
თუ საქართველო შენი ხატია,
მაშინ არასდროს არ დაბერდები!

### აჭარელ „ლამაზების დედოფალს“

**ლალი რომანიძეს**

„რაც უფრო შორს ხარ,
მით უფრო ვტკბები“
მით უფრო მხიბლავს შენზე ოცნება,
რამ დამავიწყოს მომჯადოვები,
შენი თვალების გასხივოსნება.

არა, ეს ტრფობა არ არის ცოდვა,
ეს ღვთის მადლია და სასწაული,
მიტომაც მჯერა მე ჩემი ბოდვა
„და სიყვარულის დღესასწაული“.

### ისე მიყვარხარ

ისე მიყვარხარ, ისე ძალიან,
ვერ შევძელ შენი გადავიწყება,
ჩემი კი არა „შენი ბრალია“,
ის სიგიჟე და თავდავიწყება.

ვიცი, უგულო სულაც არა ხარ,
მიტომ კიაფობს სადღაც იმედი,
შენ რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ,
იმ სიგიჟესაც მაპატიებდი.

### იყიდება საქართველო

იყიდება „ხელი-ხელში“
საფიცარი მთა-ბარი,
გადაბრუნდნენ სამარეში
დავითი და თამარი.

### სამშობლოს გამყიდველებს

„სამშობლო, დედის ძუძუი,
არ გაიცვლების სხვაზედა,“
თქვენ სამშობლოსაც ყიდით და
ქვასაც არ სტოვებთ ქვაზედა.

დედინაცვალს რომ იფიცებთ,
რად არ წითლდებით ნეტაო,
მწყრალად რადა ხართ სინდისზე,
ნუთუ არა გყავთ დედაო?

### „შენ მუჭა-მუჭა გაგიტანეს საქართველოდან“

„ქართლის მიწავ უტკბილესო,“
„მშობლიურო ჩემო მიწავ,“
ვინც გაყიდვა დაგიწესოს,
არ ეღირსოს ჩვენი მიწა.

### არ გრცხვენიათ?

ნუთუ ჩვენი მამული,
სისხლით გადანამული,
ერის დვრიტა-ნამუსი,
დახლის საქონელია?
არ გრცხვენიათ? „ნამუსიც
კარგი საქონელია!“

### წადით!

სულ უცხოეთით რომ ხართ გართული,
წადით, იქ უფრო მოგესვენებათ,
ნურცა გეღირსოთ მიწა ქართული,
ნურცა ყოფილა თქვენი ხსენება!

### იძებნება პრეზიდენტი

**„ან ავლილი ან ჩავლილი ხომ არ გინახავთ?“.**

იძებნება პრეზიდენტი,
ერთ დროს ომში წაქცეული,
ნამეტნავად შერცხვენილი,
სამშობლოდან გაქცეული.

ძებნილი და ვერნახული,
კვალიც არ ჩანს არსად მისი,
ვინც ჩვენ იმას გვაპოვნინებს,
პრემიები ალალ მისი!

### ქართველო, გახსოვდეს!

ქართველო, გახსოვდეს!
სიკვდილი კი არა,
არამედ სიცოცხლე,
ნაღდი და ნათელი.

ქართველო, გტკიოდეს
სამშობლოს იარა,
ქართველო, გიყვარდეს
მოძმე და ქართველი.

ქართველო, გახსოვდეს,
სტალინი შენია,
ფაშიზმის ჭირისგან,
მსოფლიოს მხსნელია.

მიტომაც, გახსოვდეს,
სტალინი – გენია,
რომ ყველა ქართველში,
სტალინის გენია!

### მოძმე უკრაინას

ჩვენო მოძმე უკრაინავ,
თუ ჩვენს ძმობას ინახავთ,
ჩვენი გიჟი პრეზიდენტი,
სადმე ხომ არ გინახავთ?

### მავთულხლართები – რუსის მუქარა

სათქმელი გულში არ ჩამეტია,
მიტომაც ვწუხვარ ასე,
რუსის მუქარა უფრო მეტია,
ვიდრე თქვენ ფიქრობთ მასზე.

### ჭკუით!

ყველაფერს ჭკუით უნდა მიყოლა,
სხვის ჭკუამ ბევრი გადაიყოლა,
ზოგ-ზოგი ღმერთმა ჭკუით გვიყოლოს,
სხვის ჭკუამ რომ არ გადა(გვ)იყოლოს.

* * *

საქმეც იმიტომ მიდის კვატურად,
რომ არ იქცევით ადეკვატურად!

### ფრთხილად!

მინდა, მივმართო იმათ,
ვისაც ღალატობს გონი,
ფრთხილად, რუსეთის მიმართ,
ისევ გეშლებათ მგონი.

### ძია სემი თუ ძია ვანია?

თუ სასიცოცხლო არჩევანია,
ძია სემი თუ ძია ვანია?
ღმერთო შემინდე, ძია ვანია
ვფიქრობ, რომ სწორი არჩევანია.

* * *

ნატო, ნატოს ძახილი
რომ გვწამს, ჩვენდა ჭირად,
ეს „დამოკლეს მახვილი,“
არ დაგვიჯდეს ძვირად.

**გურამ ჭავჭანიძე.**
22.07.15


# განცხადება

**სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი აცხადებს ღია კონკურსს ცენტრის დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.**

ცენტრის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს საქართველოს ქმედუნარიანმა მოქალაქემ, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ბიომედიცინის პროფილით და აქვს სამეცნიერო დარგში მენეჯერულ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

ცენტრის დირექტორი აირჩევა 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი დირექტორად ზედიზედ შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:**

1. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი.
2. დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ბიომედიცინის პროფილით).
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
4. ავტობიოგრაფიული მონაცემები (CV).
5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.
6. ცენტრის განვითარების ხედვა-პროგრამა.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2015 წლის 6 აგვისტო.

დოკუმენტები მიიღება ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამდივნოში ყოველდღე, 11.00 საათიდან 16.00 საათამდე, მისამართზე 0160, თბილისი, გოთუას ქ. 14, II სართული. ტელ: 237 11 65; 237 12 31; საკონტაქტო პირი:

ნინო ემუხვარი - ninaemi@mail.ru,
თამარ მათითაიშვილი – matitaishvili_t@yahoo.com
ვებ-გვერდი: www. lifescience.org.ge

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი № 1** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) საავტომობილო გზის ელემენტების მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, საკარიერო ტერიტორიის უახლოესი წერტილის დაშორება გზის ღერძიდან არ უნდა შეადგენდეს 20 მეტრზე ნაკლებს.<br>გ) საავტომობილო გზის გასწვრივ, ინერტული მასალის (ქვიშა-ხრეში) მოპოვების სალიცენზიო ობიექტის მიმდებარედ, საავტომობილო ტრანსპორტის შესასვლელი და გამოსასვლელი მოეწყოს მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, სადაც საფარის მოწყობა უნდა განხორციელდეს საავტომობილო გზის საფარის იდენტურად.<br>დ) სალიცენზიო ობიექტიდან ტვირთის გადაზიდვა განხორციელდეს საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის შესახებ" გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.<br>ე) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარედ შენარჩუნებული იქნას საავტომობილო გზის ელემენტები და წყალმომცილებელი საშუალებები.<br>ვ) წიაღისეულის მოპოვების პერიოდში აკრძალულია გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.<br>ზ) სალიცენზიო ობიექტის ფუნქციონირების პერიოდში უზრუნველყოფილი იქნას, მთელი ტერიტორიის ფარგლებში, საავტომობილო გზის ელემენტების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენახვა.<br>თ) „ბ", „გ", „დ", „ე", „ვ" და „ზ" პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების ტექნიკური პირობების შესრულებაზე კონტროლი ევალება საავტომობილო გზების დეპარტამენტის საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობის და მონიტორინგის სამმართველოს და შპს „ნიუ ქონსტრაქშენ"-ს.<br>ი) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ლ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლახანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ნენსკრას ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 7 050 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლახანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 226 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 122,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 813 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 29 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი № 2** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი მოქალაქეებს არ შეუზღუდავს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე გადაადგილების უფლებას.<br>გ) გეოდინამიკური გართულებების (ქვათაცვენა) თავიდან ასაცილებლად საჭიროა წარმოქმნილი ქვათაცვენის კერების ჩამოწმენდა-ლიკვიდაცია.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის | ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩქუმის |

| | | |
|---|---|---|
| | კონკრეტული ობიექტი | მიმდებარე ტერიტორია, „ჩქუმის“ დოლომიტიზირებული კირქვის (ლოდნარი) გამოვლინება. (მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა -21 560 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩქუმის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 29 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 3**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმოროთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტინისხიდის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით) კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 30 000 მ³/წელიწადში. |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტინისხიდის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 939 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 93,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 670 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 29 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 4**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები.<br>გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით, მისი შემდგომი გამოყენებისათვის.<br>დ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების |

| | | |
|---|---|---|
| | | ალმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ჩიბათის მიმდებარე ტერიტორია, „ზემო ჩიბათის" კონგლომერატების (საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 982 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ჩიბათის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 29 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 5** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. შრომის მიმდებარე ტერიტორია. მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 5 500 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. შრომის მიმდებარე ტერიტორია. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 178 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 17,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 289 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 29 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 6** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ფუჭი ქანი და ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>ბ) ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს ღია (კარიერული) წესით საფეხურებრივად, |

| | | |
|---|---|---|
| | | მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბლისაკენ, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისადმი მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით.<br>გ) წიაღისეულის მოპოვება უნდა განორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოლითის მიმდებარე ტერიტორია, „მოლითი"-ს მარმარილოსმაგვარი კირქვის საბადო (კატეგორია - $B+C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის |
| | | (მოსაპირკეთებელი კირქვა) ჯამური მოცულობა - 164 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოლითის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 42 501 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 4 250,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 21 451 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 29 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 7** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით |

| | | |
|---|---|---|
| | | დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხუნჯულაურის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყალზე, „ცხენისწყლის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 60 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხუნჯულაურის მიმდებარე ტერიტორია, |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 8 045 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 804,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს | 4 223 ლარი |
| | (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 29 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 8** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ფუჭი ქანი და ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით;<br>გ) ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით;<br>დ) ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბალისაკენ, მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით; |

| | | |
|---|---|---|
| | | ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხანდისის მიმდებარე ტერიტორია, „ხანდისის" ქვიშაქვების გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 10 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხანდისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 29 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 9** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე -13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან |

| | | |
|---|---|---|
| | | ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ექსპლოატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.<br>დ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული წესების დაცვით.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძეგვის მიმდებარე ტერიტორიაზე „ძეგვის" ცეოლითის შემცველი ტუფების საბადო (კატეგორია - $C_1+C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა ორივე უბანზე ერთად - 61 370 ტ.). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძეგვის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 26 123 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 612,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 13 262 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 29 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 10** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სალიცენზიო ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის |

| | | |
|---|---|---|
| | | სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა დ ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ექსპლოატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.<br>დ) სალიცენზიო ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში და მის შემდეგაც შენარჩუნებული უნდა იქნას ფერდობის ბუნებრივი ქანობი და მისი მდგრადობა.<br>ე) უნდა შენარჩუნდეს ობიექტის აღმოსავლეთით მდებარე სადრენაჟო არხის ნაპირების მდგრადობა და ფუნქციონირება.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. კრწანისის მიმდებარე ტერიტორიაზე „კრწანისის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა ორივე უბანზე ერთად - 135 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. კრწანისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 18 102 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 810,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 9 251 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 29 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 11**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და |

| | | |
|---|---|---|
| | | დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლეხაინდრაოს ტერიტორიაზე, მდ. ცხენისწყალზე „ცხენისწყლის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 30 600 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლეხაინდრაოს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 975 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 497,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 688 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 29 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 12**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე წყლიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების |

| | | |
|---|---|---|
| | | ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ახალციხის ტერიტორია, მდ. ფოცხოვისწყალზე, „ფოცხოვისწყლის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 546 900 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ახალციხის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 73 332 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 7 333,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 36 866 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 29 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 13**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 03123072543 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული წესების დაცვით.<br>გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი |

| | | |
|---|---|---|
| | | გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. აზავრეთის მიმდებარე ტერიტორია, აზავრეთის ანდეზიტო-ბაზალტის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 6 400 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. აზავრეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 29 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 14**

| | | |
|---|---|---|
| უნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს |

| | | |
|---|---|---|
| | | მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწყსრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკის ტერიტორია, (მიწისქვეშა მტკნარი წყალი სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 400 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკი |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 13 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 207 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 29 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 15** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს |

| | | |
|---|---|---|
| | | მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწყსრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ჭაბურღილიდან მოპოვებული წყლის გამოყენება სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის ლაბორატორიული ანალიზების ჩატარების გარეშე დაუშვებელია.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი |
| | | მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის ქ. №51, (მიწისქვეშა მტკნარი წყალი სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია -P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 460 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის ქ. №51 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 47 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 4,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 224 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 29 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

◎ თბილისი – 2015

# ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი

ცურვა

## მედლების ათვლა სანჩოვით დაიწყო

**ორშაბათს ევროპის ახალგაზრდობის მე-13 ოლიმპიურ ფესტივალზე მედლების რამდენიმე კომპლექტი გათამაშდა. პირველი „ოქრო“ 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მოლდოველმა ალექსეი სანჩოვმა (1.49,20) მოიპოვა.** საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ საუკეთესო შედეგი გერმანელ იოჰანეს ჰინტს ჰქონდა, თუმცა, ის ფინალში მეორე ადგილს (1.50,18) დასჯერდა. ბრინჯაოს მედალი უნგრელ რიჩარდ მარტონს (1.50,42) ხვდა.



100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ორი ქართველი გამოდიოდა – ირაკლი კვარაცხელია და ლუკა პატარაია, რომლებმაც, შესაბამისად, 27-ე და 33-ე ადგილები დაიკავეს.

**გოგონები. 200 მეტრი. ბატერფლაი.** 1. ანია კესელი (უნგრეთი, 2.15,04), 2. ემილი ლარჯი (დიდი ბრიტანეთი, 2.16,20), 3. არიადნა ესკრიბანო (ესპანეთი, 2.17,24). **4X100, თავისუფალი ყაიდა.** 1. რუსეთი (3.50,33), 2. გერმანია (3.53,84), 3. თურქეთი (3.53,90). 400 მეტრი. ბრასი. 1. მარია გადეა (რუმინეთი, 4.53,87), 2. რებეკა სატონი (დიდი ბრიტანეთი, 4.55,65), 3. სელინ რიედერი (გერმანია, 4.56,85).

**ვაჟები. 4X100, თავისუფალი ყაიდა.** 1. რუსეთი (3.26,16), 2. გერმანია (3.26,20), 3. უნგრეთი (3.26,40).

ფრენბურთი

## ჩემპიონებთან დამარცხდნენ



**საქართველოს ფრენბურთელ გოგონათა და ვაჟთა ნაკრები გუნდები ჯგუფური ეტაპის სტარტზე ამ ასაკში (17 წლამდელები) ევროპის ჩემპიონებს შეხვდნენ და ერთნაირი ანგარიშით (0:3) დამარცხდნენ:** გოგონები – რუსებთან, ვაჟები – პოლონელებთან.

**ვაჟები**

A **ჯგუფი.** რუსეთი – ბულგარეთი 1:3. საქართველო პოლონეთი 0:3.

B **ჯგუფი.** იტალია – სერბეთი 3:1. თურქეთი – ჩეხეთი.

**გოგონები**

A **ჯგუფი.** თურქეთი – იტალია 3:2, საქართველო რუსეთი 0:3.

B **ჯგუფი.** სერბეთი – პოლონეთი 3:0, ბელგია – ჩეხეთი 3:1.

ხელბურთი

## ნაგებით დაიწყეს

**ახალ სპორტის სასახლეში პირველობისთვის ბრძოლაში ხელბურთელ გოგონათა და ვაჟთა 8-8 ნაკრები ჩაება. ისინი წილისყრით ორ-ორ ჯგუფში არიან განაწილებული. საქართველოს გუნდები სტარტზე დამარცხდნენ.**

**გოგონები**

A **ჯგუფი.** დანია-გერმანია 24:16 (8:9), ნორვეგია-ჩერნოგორია 22:20 (12:11),

B **ჯგუფი.** ჩეხეთი-საქართველო 44:18 (17:10). რუსეთი-რუმინეთი 23:20 (14:10).

**ვაჟები**

A **ჯგუფი.** უნგრეთი-ნორვეგია 24:27 (15:12), დანია-გერმანია 21:25 (11:12),

B **ჯგუფი.** შვეიცარია-საქართველო 28:22 (11:9), საფრანგეთი-სლოვენია 32:29 (15:12).



ძიუდო

## ორი ბრინჯაო

**გუშინ შეჯიბრებაში ჩაებნენ ძიუდოისტები. ტატამზე ორი წონის სპორტსმენები გავიდნენ.** 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე გავიდა ზურაბ კახნიაშვილი, ხოლო 55 კილოში ბრინჯაოს მედალი თემურ ნოზაძემ დაიმსახურა.

მძლეოსნობა

## ჯერჯერობით მხოლოდ ორი კომპლექტი

**მძლეოსნობაში ასპარეზობის პირველ დღეს მედლების ორი კომპლექტი გათამაშდა 2000 მეტრზე სტიპლჩეისში გოგონებსა და ვაჟებს შორის.**

**გოგონები.** 1. იასმინ ბაკერი (ჰოლანდია, 6.48,80), 2. ანასტასია მახროვა (რუსეთი, 6.50.39), 3. ტირა პავუკი (უნგრეთი, 6.52,59).

**ვაჟები.** 1. სტეფან შმიდი (ავსტრია, 6.10,33), 2. მათეუშ ციმერმანჩიჩი (შლოვენია, 6.33,66), 3. ტიმოთი მიშლერი (საფრანგეთი, 6.15,19).

ამავე სახეობის ვაჟთა ფინალში ქართველმა საბა ხვიჩავამ (6.17,66) მეხუთე ადგილი დაიკავა.

1500 მეტრზე რბენაში საკვალიფიკაციო ეტაპი ვაჟებში სერბმა ელზან ბიბიჩმა მოიგო. ჩვენი დავით აბესაძე მეორე ჯგუფში 4.10,25-ით მეხუთეზე გავიდა.

სიგრძეზე ხტომაში წინასწარი შეჯიბრებისას რომან ბადრიძე B ჯგუფში 6.43 მეტრით VI იყო. ყველას ბელარუსმა ულადისლაუ ბულახაუმ აჯობა – 6.86.

კალათბურთი

## ბიჭებმა თურქებს აჯობეს, მაგრამ

**კალათბურთელ ვაჟთა ტურნირის პირველ ტურში შესანიშნავად ითამაშეს ჩვენმა ბიჭებმა.** თურქებთან სასტარტო მატჩის პირველი მეოთხედი 20:11 მოიგეს, მეორე რაუნდი 11:16 დათმეს, სამაგიეროდ, ბოლო ორ მეოთხედში მეტოქეს წარმატების ყოველგვარი შანსი გადაუწურეს – 26:14, 32:9 გაიმარჯვეს და საბოლოოდ 39-ქულიან წარმატებას (89:50) მიაღწიეს. ბიჭებს მხარი ვერ აუბეს ჩვენმა გოგონებმა, რომლებიც თურქებთან დამარცხდნენ – 28:61.



**გოგონები**

A **ჯგუფი.** ლატვია-უნგრეთი 53:62, რუსეთი-საფრანგეთი 53:52;

B **ჯგუფი.** თურქეთი-საქართველო 61:28, ჩეხეთი-ბელგია 55:56.

**ვაჟები**

A **ჯგუფი.** საქართველო-თურქეთი 89:50, ლატვია-ბოსნია 61:87;

B **ჯგუფი.** იტალია-სერბეთი 62:80, ესპანეთი-გერმანია 78:69.

გუშინ მეორე ტურის შეხვედრაში ქართველი კალათბურთელი ვაჟები ბოსნიელებთან დამარცხდნენ 74:81 და ნახევარფინალის მეორე საგზურის ბედი დღეს საქართველო – ლატვიის დაპირისპირებაში გადაწყდება.

ჩოგბურთი

## უდანაკარგოდ



**მზიურის ახალ კორტებზე საქართველოს სპორტულ ღირსებას ოთხი ჩოგბურთელი იცავს. პირველი ბარიერი ყველამ წარმატებით გადალახა.** ანა მაქაცარიამ იოლად მოუგო აზერბაიჯანელ ფიდანა ხალიზადეს – 6:3, 6:0, ანა შანიძემ ლინა გლუშკო (ისრაელი) ჩამოიშორა გზიდან – 6:0, 6:0, აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონმა ნიკოლოზ დავლიანიძემ უნგრელი მატე ვოროში დაამარცხა – 6:4, 6:3. მეორე წრეში გასასვლელად სამი სეტი დასჭირდა დავით ჭელიძეს, რომელმაც თურქ უმუტ აკოიუნის აჯობა – 7:5, 2:6, 6:3.

გუშინ მეორე წრის შეხვედრები გაიმართა. დავლიანიძემ ბრიტანელ ემილ მარტინ ჰუდს სძლია – 6:4, 5:7, 7:5, ხოლო მაქაცარიამ ბულგარელი ტოპალოვა დაჯაბნა – 6:1, 2:6, 6:4.

**სურათზე: ნიკოლოზ დავლიანიძე.**

**გივი გაგუა**

◎ ლეგიონერი



## „ვერდერმა“ პაპუნაშვილი წარადგინა

**თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი გიორგი პაპუნაშვილი გერმანიის ბუნდესლიგის ბინადარ ბრემენის „ვერდერის“ 23 წლამდელთა გუნდის ფეხბურთელია. ამის შესახებ „მუსიკოსთა“ ვებგვერდი იუწყება. 19 წლის შემტევი „ვერდერში“ დამდეგ სეზონს იჯარის წესით გაატარებს, ხოლო იმედების გამართლების შემთხვევაში გერმანული გუნდი მას გამოისყიდის.**

„იგი 19 წლის, ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, თუმცა, საერთაშორისო გამოცდილება უკვე გააჩნია, რადგან ევროპა ლიგაზე და თავისი ქვეყნის ნაკრებში უთამაშია. მისი შემტევი პოტენციალი ძალიან დიდია და ჩვენს გუნდს გააძლიერებს“, – თქვა „ვერდერის“ 23 წლამდელთა გუნდის სპორტულმა დირექტორმა ტიმ ბოროვსკიმ.

გიორგი პაპუნაშვილმა გასულ სეზონში საქართველოს უმაღლეს ლიგაში 21 მატჩი ჩაატარა და 14 გოლი გაიტანა. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში კი დებიუტი გიბრალტარის ნაკრებთან ჰქონდა.

**გიორგი შოთაძე**

◎ ჩოგბურთი

## ბასილაშვილი საუკეთესო ასეულშია

**ქართულ ვაჟთა ჩოგბურთს 2005 წლის შემდეგ (ირაკლი ლაბაძის მერე) საუკეთესო ასეულში წარმომადგენელი არ ჰყოლია. და აი, ბოლო დროს მიღწეული წარმატებებით ნიკოლოზ ბასილაშვილი 542 ქულით 90-ე ადგილზე აღზევდა.** ქართველ ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერმა წლეულს ჯერ უიმბლდონზე იყოჩაღა, მერე დევისის თასზე ჩვენი ქვეყნის ნაკრების მეორე ევროპულ ჯგუფში გადასვლაში შეიტანა დიდი წვლილი. გასულ უქმეებზე კი ჰოლანდიურ ტურნირში (საპრიზო ფონდი 42.500 ევრო) გაიმარჯვა და 90 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა. ბასილაშვილი ამჟამად იტალიაში იმყოფება და ბიელას ჩელენჯერის ტურნირში (საპრიზო ფონდი 42.500 ევრო) ჩაებმება.

**თამაზ პატარაია**



კალათბურთი

# საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების წარმატება ევროპის ჩემპიონატზე

**საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ჯგუფიდან გავიდა. გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა გუნდმა ავსტრიის ქალაქ ობერვარტში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონში ზედიზედ მე-4 გამარჯვება მოიპოვა და ჯგუფიდან გამსვლელ საუკეთესო 2 გუნდს შორის მოხვდა.**

ქართველებმა ტურნირი შვედეთთან უიმედო მარცხით (50:82) დაიწყეს, თუმცა, მას შემდეგ ჯგუფის ოთხივე მეტოქე დაამარცხეს და სკანდინაველთა კვალზე ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს. გადამწყვეტი ჯახი ქართველებს პორტუგალიასთან ჰქონდათ, რომელსაც კაზანჯიანის გუნდის მსგავსად ერთადერთი მატჩი შვედეთთან წაეგო. გამარჯვებული გუნდი მეორე ადგილს იკავებდა და მეორე ჯგუფურ ეტაპზე გადადიოდა, დამარცხებულს კი საკვალიფიკაციო ჯგუფი და საუკეთესო შემთხვევაში მე-9 ადგილის დაკავება ელოდა.



საქართველომ ღირსეულად გადაიტანა პორტუგალიასთან უმნიშვნელოვანესი ჯახი. კაზანჯიანის გუნდმა პირველი პერიოდი 11:15 წააგო, მეორე მეოთხედის დასრულებამდე 3 წუთით ადრე კი 19:27 ჩამორჩა და საკმაოდ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. ქართველებმა თამაშის დალაგება მოახერხეს, შეტევაში კი დავით ლომიძემ ისახელა თავი და პირველი ტაიმის ბოლოსთვის ჩვენებმა ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირეს.

მერე გაჩაღდა თანაბარი ბრძოლა. ხან ერთი გუნდი გალიდერდებოდა, ხან მეორე, სანამ ბოლო წუთებმა არ მოატანა და გადამწყვეტ მომენტში კვლავ ქართველებმა იძალეს. შეხვედრის დასრულებამდე 2:30 წუთით ადრე საქართველოს ნაკრები 61:55 დაწინაურდა, რაც მწირექულიან, დაცვაზე ორიენტირებულ მატჩში სოლიდური ჰანდიკაპი გახლდათ. პორტუგალიელები ვა-ბანკზე წავიდნენ, მთელი თავიანთი რესურსი ჩააქსოვეს მატჩში და ჩამორჩენა ბოლო წუთზე 2 ქულამდე შეამცირეს.

პორტუგალიელებმა კარგი დაცვის ხარჯზე ბურთის მოპოვება და გამთანაბრებელი შეტევის წამოწყების უფლებაც მოიპოვეს, თუმცა, ქართველების საპასუხო დაცვითმა თამაშმა მათაც დააკარგვინა ბურთი. შემდეგ გუნდებმა თითო აცილებული სროლა გაცვალეს და შეხვედრაც დასრულდა — 62:60 საქართველოს სასარგებლოდ.

ქართველებს 21 ქულით დავით ლომიძემ ულიდერა. ფარქვეშ შეუდარებელი იყო ვილი ისიანი, რომელმაც 14 მოხსნა მიითვალა, დავით აფხაზავას ანგარიშზე კი 8 ქულა და 6 პასი დაგროვდა. საქართველოს ნაკრები მეორე ჯგუფურ ეტაპზე გადაინაცვლებს, სადაც შვედეთთან მარცხი გადაჰყვება, მეტოქეებად კი ისლანდია და ისრაელი ეყოლება და წარმატების შემთხვევაში, თუკი საუკეთესო ორეულში კვლავ მოხვდებიან, ნახევარფინალში გავლენ.

ავსტრიაში მიმდინარე ტურნირის მიზანი საუკეთესო 3 გუნდის გამოვლენაა, რომლებიც მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატის ელიტარულ — „ა“ დივიზიონში იასპარეზებენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ნიჩბოსნობა

# ბალტიისპირული მედლებით



**ლიტვურ ტრაკაიში ბრაჩას დიდი რეგატაში წარმატებით იასპარეზეს ქართველმა ნიჩბოსნებმა მწვრთნელების — შალვა მუსოევისა და აკაკი იოსავას ხელმძღვანელობით. სპორტსმენები ორ ასაკობრივ ჯგუფში იბრძოდნენ მედლებისთვის.** უმცროს ასაკში (1999-2000 წლებში დაბადებულნი) მანანა ჯიქურაულმა (დუშეთი) და ქრისტინე მგელაძემ (ფოთი) ორადგილიანი კაიაკით (ბაიდარა) 200 მეტრზე პირველი ადგილი დაიკავეს, 500 მეტრზე კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ამავე ასაკში ორადგილიანი კაიაკით ლევან ტატუნაშვილი და ლუკა თხილაიშვილი (ორივე — თბილისი) ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდნენ. ერთადგილიანი კანოეთი დუშელ ნატო ჩხუტიაშვილს 200 და 500 მეტრზე მესამე ადგილები ერგო.

უფროს ასაკში (1998 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი) მარიამ ქერდიკაშვილი ერთადგილიანი კანოეთი 200 და 500 მეტრზე მეორე იყო. მალხაზ ჭინჭარაშვილმა (ორივე — დუშეთი) ერთადგილიანი კანოეთი 1000 მეტრზე მესამე ადგილი დაიკავა. მანვე მასპინძელ მინდაუდას ტალაჩკასთან ერთად ორადგილიანი კანოეთი 1000 მეტრზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

**ლაშა დიდია**

**სურათებზე: მარიამ ქერდიკაშვილი; ქრისტინე მგელაძე (წინ) და მანანა ჯიქურაული.**



კვალი ნათელი

# ლია გზირიშვილი



კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ექიმი-რადიოლოგი, თანამედროვე რადიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, მედიცინის დოქტორი, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი, პროფესორი **ლია გზირიშვილი**.

ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ და მეცნიერებამ განიცადა უმძიმესი დანაკლისი, ხოლო თითოეულმა ჩვენგანმა დაკარგა უახლოესი მეგობარი და უნიჭიერესი კოლეგა. უზარმაზარი ტრაგედიის განცდასთან ერთად მან დაგვიტოვა იმის შეგრძნებაც, რომ ჩვენ წილად გვხვდა მის გვერდით ყოფნის, მასთან ურთიერთობის ბედნიერება.

ჩვენი ლიკა... რამხელა გულისტკივილია ამ სიტყვებს მიღმა...

რა ძნელია, წარსულში ისაუბრო ადამიანზე, რომელიც უსაზღვროდ გიყვარს, გინდა გყავდეს გვერდით და ისევ გეიმედებოდეს და გეამაყებოდეს, როგორც ყოველთვის... საოცრად თბილი და კეთილშობილი, სპეტაკი, ულალატო და თავდაუზოგავი ადამიანი, განათლებული, მოაზროვნე, გამჭრიახი, ყველას მიმართ ყურადღებიანი და მოსიყვარულე.

მასში საოცრად ლამაზად იყო შერწყმული მოქალაქეობრივი, პროფესიული და ადამიანური ღირსებები.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. დიპლომისშემდგომი განათლება მიიღო ქ. თბილისში ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, რენტგენოლოგიაში. მუშაობდა აკად. ე. ფიფიას სახელობის რკინიგზის კლინიკურ საავადმყოფოში რენტგენოლოგიური განყოფილების ექიმ-რენტგენოლოგად. 1989 წლიდან კვალიფიკაცია გაიარა ქ. მოსკოვის აკად. ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში, ქალაქ ერლანგენსა და ნიურნბერგში (გერმანია), გრაცში (ავსტრია). მონაწილეობდა საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებში ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში დაარსების დღიდან დაიწყო მუშაობა და მთელი ცხოვრება მისი ერთგული დარჩა.

დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო შრომა. გახლდათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო რადიოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო რადიოლოგიის რეზიდენტურის პროგრამის ლოკალური ხელმძღვანელი. საქართველოსა და ევროპის რადიოლოგთა ასოციაციების წევრი.

ქალბატონმა ლიამ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა რადიოლოგთა არაერთი თაობის ჩამოყალიბებაზე, არა მარტო როგორც პედაგოგმა, არამედ როგორც პიროვნებამ — ყოვლად განსხვავებულმა, მრავალმხრივ ნიჭიერმა და კოლორიტულმა.

საოცარი ადამიანი იყო — ჭკვიანი, ხალისიანი, გამორჩეული...მუდამ გაჭირვებულის გვერდში მდგომი, ყველას დამრიგებელი და თანასწორი... აღზრდილი ჰყავს 500-ზე მეტი ექიმი-რადიოლოგი.

ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდა საყვარელ საქმეს, დიდი პროფესიონალიზმით, პრინციპულობით, თავდადებით. ძალიან დააკლდება ყველას, უწინარესად თავის ულამაზეს ოჯახს, მეუღლეს, შვილებს; წარმოუდგენლად დააკლდება თავის ინსტიტუტს, დაგვაკლდება ჩვენ, მის მეგობრებს, მედიცინას...

მას უდიდეს პატივს სცემდნენ საზოგადოების ყველა ფენაში, ყველას ერთნაირად უყვარდა — კოლეგებს, სტუდენტებს თუ პაციენტებს.

სამაგალითო იყო მისი პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა, უანგარობა, სიკეთე და ბევრი სხვა თვისება, რაც ასე ამშვენებდა და აკეთილშობილებდა მის პიროვნებას.

მომავლის იმედი ყველაზე მძიმე დროსაც კი არ დაუკარგავს, ფარ-ხმალი არასდროს დაუყრია, წინ მიისწრაფვოდა და ნათელ მომავალს შენატროდა...

მისი სახელი დღეს მის ოჯახში, მის შვილებში და მომავალში გრძელდება. გენეტიკური კოდი, რომელიც ამ ულამაზეს ოჯახშია ჩადებული და რომელმაც არაერთი სახელოვანი წარმომადგენელი მისცა ჩვენს ქვეყანას, გრძელდება და თაობიდან თაობას გადაეცემა.

ჩვენი ლიკას სიცოცხლე მარადიულობას გაჰყვა, მაგრამ დარჩა ხსოვნა, რომელიც არასოდეს დაბერდება და სიყვარული, რომელიც არასდროს მოკვდება.

ინფორმაცია

## აღკვეთეს ნარკოტიკის შემოტანა

**შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით 1960 წელს დაბადებული ჯემალ მ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილზე, ხოლო 1976 წელს დაბადებული დავით ზ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.**

**სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა, ჯემალ მ-ს მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილის ჩხრეკისას 49 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,392 გრ ბუპრენორფინს შეიცავს. დავით ზ-ს პირადი ჩხრეკისას 3 აბი „სუბოქსინი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,008 გრ ბუპრენორფინს შეიცავს.**

**სამინისტროს განცხადებით, დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.**

* * *

**საბაჟო გამშვები პუნქტის „ვალეს“ მებაჟე ოფიცრებმა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების შემოტანის მცდელობები აღკვეთეს.**

**ირანის მოქალაქე ე.მ.-ის ხელბარგის დათვალიერებისას, მათ 8 აბი Acetaminophen codeine, ხოლო ბელგიის მოქალაქე ა.ჰ.-ის ხელბარგის დათვალიერებისას Tramadol (40 აბი) აღმოაჩინეს. ორივე საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებას.**

## ხანძარი თბილისში

**ლოტკინის დასახლებაში, თბილისის ზღვის ტერიტორიასთან ახლოს ხანძარი ლიკვიდირებულია, — ამის შესახებ შს სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის თბილისის სამმართველოს უფროსის მოადგილე დავით გელაშვილმა განაცხადა.**

**როგორც მან განმარტა, ხანძრის გამომწვევი მიზეზები ჯერჯერობით უცნობია.**

**დამწვარია ბალახი და ძველი საბურავები; 4-5 ჰექტარი ტერიტორია. ამ დროისთვის მიმდინარეობს ცალკეული დამუშავებითი სამუშაოები“, — განაცხადა დავით გელაშვილმა.**

**მისივე განცხადებით, ადგილზე ხუთი ერთეული სახანძრო და ორი ერთეული სამაშველო ბრიგადა მუშაობდა.**

◉ ხშირად წაიკითხეთ და სხვებსაც წააკითხეთ, მშობლებო!

# ციფრული ჭკუასუსტობის ვირუსი - დიაგნოზი, რომელიც ყველას ემუქრება



**ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ თქვენ აუკრძალავთ შვილებს გაჯეტებით სარგებლობას! დღეს მთელი მსოფლიო გადასულია გაჯეტებზე: სმარტფონებზე, პლანშეტებსა და სხვადასხვა ციფრულ ტექნიკაზე. მათთან ერთად მსოფლიოში ახალი ვირუსი ვრცელდება, რომელსაც ციფრული ჭკუასუსტობის ვირუსი ჰქვია. ეს არ არის ხუმრობა – ეს დიაგნოზია.**

2007 წელს სპეციალისტებმა შენიშნეს, რომ ყოველწლიურად სულ მეტი და მეტი ბავშვი უჩივის ყურადღების დეფიციტს, გონების დაკარგვას, თვითკონტროლის დაბალ დონესა და დეპრესიას. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ციფრული თაობის წარმომადგენლების თავის ტვინში ისეთი ცვლილებები მიმდინარეობს, როგორც თავის ტვინის ტრავმის ან დემენციის ადრეულ სტადიაზე –ჭკუასუსტობის დროს. როგორც წესი, ეს სიმპტომები ღრმა სიბერის დროს ვითარდება. რთულია ამის დაჯერება, მაგრამ საშუალო სტატისტიკურმა შვიდი წლის ბავშვმა ეკრანთან 1 წელზე მეტი უკვე გაატარა, ხოლო 18 წლისამ – 4 წელზე მეტი!

ტვინს მუდმივად სჭირდება განვითარება და კვება. ეს შოკის მომგვრელი განაცხადია, მაგრამ ფაქტია, რომ 1970 წლიდან ბავშვების აქტიურობის რადიუსი (სივრცე სახლთან ახლოს, ადგილი, სადაც ბავშვები შეიცნობენ სამყაროს) 90%-ით შემცირდა! სამყარო დაპატარავდა სმარტფონის ეკრანამდე. ბავშვებს დაავიწყდათ და უფრო უარესი, მათ არ იციან, რა არის წვიმაში გარეთ სირბილი, ხეზე აძრომა ან უბრალოდ ერთმანეთთან საუბარი. ისინი საათობით სხედან თავიანთ სმარტფონებთან. ბავშვის ფიზიკური და გონებრივი განვითარებისთვის აუცილებელია კუნთების განვითარება, სუფთა ჰაერზე სეირნობა და უბრალოდ, ადამიანებთან ურთიერთობა. ოცდამეერთე საუკუნის მშობლებს ნამდვილად აქვთ მიზეზი ნერვიულობისთვის. ტვინის ფორმირება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს შინაგანი სტიმული და რაც მეტია ეს სტიმული, მით უკეთესია ტვინისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა შეისწავლონ სამყარო ფიზიკურად და არა ვირტუალურად. ასევე ბავშვს სჭირდებათ ჯანმრთელი და სრულყოფილი ძილი. თანამედროვე ბავშვებს არ შეუძლიათ, მოსწყდნენ კომპიუტერს და კომპიუტერულ თამაშებს. ყოველივე ეს საგრძნობლად ამცირებს ძილის ხანგრძლივობას და იწვევს ჯანმრთელობის სხვადასხვა დარღვევას. რა განვითარებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა ბავშვს ძილი არ ჰყოფნის, დილით კი იღვიძებს დაღლილი და შრომისუუნარო.

ისმის კითხვა: როგორ შეიძლება ციფრულმა ტექნოლოგიამ შეცვალოს ბავშვის ტვინი? პირველ რიგში, იზღუდება შინაგანი სტიმულის რაოდენობა. ბავშვი არ იღებს საკმარის გამოცდილებას, რათა განავითაროს საკმაოდ მნიშვნელოვანი ტვინის უბნები, რომლებიც პასუხს აგებენ თვითკონტროლზე, გადაწყვეტილების მიღებაზე... ის კი, რაც არ მუშაობს – კვდება. ადამიანი თუ დიდი ხნის განმავლობაში არ გაივლის, მისი კუნთები ატროფიას განიცდიან. ბავშვები არ არიან მიჩვეული ინფორმაციის დამახსოვრებას - მათთვის ადვილია გამზადებული ინფორმაციის მოძიება. ესეც მეხსიერების გაზარმაცებაა. ტვინს კი მუდმივი მუშაობა და ვარჯიში ესაჭიროება.

**თქვენ შეგიძლიათ, გადაარჩინოთ თქვენი შვილები! ამისთვის საკმარისია, გაჯეტებთან ურთიერთობის დრო მაქსიმალურად შეზღუდოთ. გაგიკვირდებათ და სტივ ჯობსი, რომელიც ციფრული ინდუსტრიის მამამთავარი იყო, სწორედ ასე მოექცა თავის შვილებს. მისი შვილები არ იყენებდნენ აიპოდს, ხოლო სხვა გაჯეტების ხმარება აკრძალული ჰქონდათ ღამით და დასვენების დღეებში. BLOGGER-ის და ეცშვეუკ-ის შემქმნელების შვილებს პლანშეტითა და სმარტფონით სარგებლობა შეუძლიათ დღეში 1 საათის განმავლობაში, ხოლო OUTCAST AGENCY-ს დირექტორი უფროს შვილებს დღეში 30 წთ. რთავს ნებას გაჯეტებით სარგებლობისთვის, უმცროს ბავშვებს კი საერთოდ არ აქვთ ისინი. ესეც პასუხი კითხვაზე: „აბა, რა ვქნათ?“ იზრუნეთ ჯანმრთელი მოზარდი თაობის აღზრდაზე. იფიქრეთ, რა მომავალი ექნებათ მათ 10-12 წლის შემდეგ, თუ დღეს ნახევარი დღე თავიანთ სუპერთანამედროვე გაჯეტებთან სხედან. თუ თქვენს მეგობრებს ჰყავთ ბავშვები, აუცილებლად მოუყევით მათ მშობლებს ციფრული ჭკუასუსტობის შესახებ!**

mshoblebi.ge


## ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35**.

## იყიდება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599 98 56 33; 599 37 00 35.

## რეკლამა

29 3-37-87;
568 82-09-84.

მაჩაბლის ქ. №7.

## პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა**...

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.


## ◉ ცინცხალი ანეკდოტები

**ღამეა, შეშინებული, ატირებული პატარა მიხო მამას აღვიძებს:**

**– მამიი, მამიი, ჩემი კრაოტის ქვეშა ურჩხულია! ი-ი-ი-!**

**– არა შვილო, ნუ გეშინიან, ნამდვილი ურჩხული შენი კრაოტის ქვეშა კი არა, ჩემ ლოგინშია, გენაცვ!...**

* * *

**– დისკოთეკიდან როდის დაბრუნდები, შვილო?**

**– ადრე მოვალ, დედი, თქვენ ჯერ კიდევ გეძინებათ...**

* * *

**გულდაწყვეტილი ქმრის ჩანაწერებიდან:**

**„დღეს ბედმა უმოწყალესად გამიღიმა – ჭეშმარიტი სიყვარული მესტუმრა, ცოლი კი სწორედ ამ დროს ბაზარში იყო წასული...“**

* * *

**სოფლად პროგრამისტად ითვლება ის, ვინც კომპიუტერის ჩართვა იცის.**



* * *

**პირველად იყო სიტყვა... მერე მირტყეს და მირტყეს!**

* * *

**საინტერესო სტატისტიკა:**

**2015 წლის ივნისის თვის მონაცემებით, სვანეთის თითოეულ მოსახლეზე 0,000321 იახტა მოდის, რაც შარშანდელ ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე, საშუალოდ, 1,7 პროცენტით მეტია.**

* * *

**იმისათვის, რომ ბინაში ქმარი გააშენოთ, საამისოდ საჭიროა ზალაში ჯერ ტელევიზორი და ტახტი დადგათ. მერე კი, ქმარი რომ გაგექცეთ, ამ ტახტზე ბავშვები უნდა მოაშენოთ.**

* * *

**ძვირფასო ქალიშვილებო! თქვენი ლამაზად, ჭკვიანად, გონებამახვილად და უნიჭიერესად გადაქცევის უებარი საშუალება, 200 გრამიდან მოყოლებულ ლიტრამდე მოცულობის ბოთლებშია ჩამოსხმული და ყველა დიდსა თუ პატარა მარკეტში იყიდება.**

## ◉ კადრი




ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
293-37-87;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ალეკო ასლანიშვილი 599 56-81-86;
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24